კვირეული „ვერსია“ ერთი

ვერსია

№40 (1630) 12 — 18 ოქტომბერი ოთხშაბათი 2022 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

ყველაფერი მკვლელ ნარკოტიკზე

როგორ შემოდის საქართველოში და რატომ იწვევს სიკვდილს „ფენტანილი“

უშიშროების გამომძიებლობიდან – ენმ-ს თავმჯდომარეობამდე

როგორ გახდა მიშას პარტიის ლიდერი და იმართება თუ არა გიგა ბოკერიასგან – ნიკა მელიას დოსიე

რა ცვლილებები შევიდა 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში

ქვეყნის მთავარი ფინანსური დოკუმენტი ახლადდანიშნულმა გენერალურმა აუდიტორმა შეაფასა

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

კახა კუკავას პოლიტიკური აღსარება

რატომ არ აპირებს 2024 წლის არჩევნებში მონაწილეობას და რას თვლის „მიქარვად“ პოლიტიკოსი

ნინო დოლიძე

უშიშროების გამომძიებლობიდან — ენმ-ს თავმჯდომარეობამდე

როგორ გახდა მიშას პარტიის ლიდერი და იმართება თუ არა გიგა ბოკერიასგან – ნიკა მელიას დოსიე

მართალია, ცნობილი მამის შვილია და თვითონაც გარკვეული თანამდებობები ეკავა, მაგრამ 2014 წლამდე ანუ იქამდე, სანამ ხელისუფლება არ შეიცვალა, მის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. სიმართლე რომ ითქვას, ახლაც მხოლოდ პოლიტიკურმა ღმერთებმა და პოლიტიკური სამოთხიდან განდევნილმა ანგელოზებმა, ესე იგი, დემონებმა იციან, 2014-ში პოლიტიკაში რატომ და როგორ ჩაერთო, მაგრამ ის კი პოლარული ღამესავით ნათელია, რომ შესაძლოა, ერთ დროს ძლევამოსილი მმართველი პარტიის ანუ ენმ-ს მესაფლავე გახდეს. ალბათ, მიხვდით, საუბარი ნიკანორ (ნიკა) მელიაზეა, ადამიანზე, რომლის მიმართაც პრეტენზიები მხოლოდ ახალბედა კი არა, თვით ძირძველ „ნაციონალებსაც“ კი აქვთ. ნიკანორს, შესაძლოა, ავი ზრახვები არ ამოძრავებს, მაგრამ თვალნათელია, რომ მიხეილ სააკაშვილის ხაზს ვერ აგრძელებს. დასამალი არც ისაა, რომ მელიასა და ექსპრეზიდენტს შორის, მაინცდამაინც, თბილი დამოკიდებულება არასოდეს ყოფილა. მართალია, ამას ხმამაღლა არც ერთი ამბობდა და არც – მეორე, მაგრამ კულუარებში ნიკანორისა და მიშას ანტაგონისტურ განწყობებზე მუდამ მიანიშნებდნენ. ამას წინათ კი, თავად მელიამ აღიარა, მე და სააკაშვილი მეგობრები არასოდეს ვყოფილვართ და არც ახლა ვართო. ჰოდა, როგორ მოხვდა მიშას არამეგობარი, მიშას პარტიაში? – „ვერსია“, ინტერნეტარქივსა და სხვადასხვა მედიასაშუალებაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, ნიკანორ მელიას ერთგვარ X-ფაილს გთავაზობთ.

ოფიციალური მონაცემებით, ნიკა (ნიკანორ) მელია 1979 წლის 21 დეკემბერს, თბილისში, ექიმების – ანზორ მელიასა და ნანა ცანავას ოჯახში დაიბადა (ალბათ, ყურადღება მიაქციეთ 21 დეკემბერს. თავად მიხეილ სააკაშვილიც 21 დეკემბერსაა დაბადებული, აღარაფერს ვამბობ სტალინსა, თუ ირაკლი ალასანიაზე).

1996 წელს მელიამ დაამთავრა თბილისის 47-ე საშუალო სკოლა;

2002 წელს – საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს აკადემიის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი;

2002-2003 წლებში, იგი იყო საქართველოს უშიშროების სამინისტროს გამომძიებელი;

2006 წელს დაამთავრა ოქსფორდის ბრუქსის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტი და მიიღო მაგისტრის ხარისხი;

2007 წელს მუშაობდა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის თავდაცვისა და მართლწესრიგის დეპარტამენტში, მრჩევლად;

2008-2009 წლებში მუშაობდა ეროვნული აღსრულების ბიუროში, უფროსის მოადგილედ. 2009-2010 წლებში იყო ეროვნული აღსრულების ბიუროს უფროსი;

2010 წელს იყო საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსი;

2010 წელს დაინიშნა აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებლო ბიუროს უფროსად, 2010-2012 წლებში კი – ამავე ბიუროს თავმჯდომარედ;

2013-2014 წლებში იყო მთაწმინდის გამგებელი;

2014 წელს იყო თბილისის მერობის კანდიდატი;

2015 წლიდან, ნიკა მელია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე და თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ხდება.

ნიკა მელია არის საქართველოს მეცხრე და მეათე მოწვევის პარლამენტის წევრი.

„მაშინ, 2014 წელს, გულმა მომცა იმპულსი – ეს ის ბრძოლაა, სადაც უნდა იყო და წინ იაროო“, – ამბობს ნიკა მელია 2020 წლის დეკემბერში, რადიო „თავისუფლებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

2014 წელს, თბილისის მერის არჩევნები დავით ნარმანიამ მოიგო.

ნიკა მელიამ კი დაიწყო აქტიური პოლიტიკური საქმიანობა ნაციონალური მოძრაობის რიგებში. მეტიც, მელია ენმ-ს ვარსკვლავად ძალიან მოკლე ხანში იქცა და შესაბამისად, არავის გაჰკვირვებია, რომ 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სიის პირველ ათეულში, მეოთხე ნომრად ჩაიწერა და მეცხრე მოწვევის პარლამენტის წევრიც გახდა.

2017 წელს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ნიკა მელია თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატად დაასახელა, თუმცა არჩევნები ისევ „ქართულმა ოცნებამ“ მოიგო.

2017 წელსვე, რამდენიმეთვიანი შიდა დაპირისპირების შემდეგ, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა გაიყო. პარტია 59-მა წევრმა დატოვა. წასულებმა პოლიტიკური საქმიანობა „ევროპულ საქართველოში" გააგრძელეს. მელია „ნაციონალებში“ დარჩა, თუმცა კულუარებში, დღემდე მუსირებს ეჭვი, რომ ის გიგა ბოკერიას მითითებებით მოქმედებს, თუმცა ეს სიმართლეა თუ არა, მხოლოდ პოლიტიკურმა დემონებმა უწყიან.

ნიკა მელია ისევ აქტიურად მოექცა მედიის ყურადღების ქვეშ, 2019 წლის 20 ივნისს, ე.წ. გავრილოვის ღამეს – საპროტესტო აქციაზე, რომელიც რუსეთის დუმის დეპუტატის საქართველოს პარლამენტში გამოჩენით დაიწყო და თვეების განმავლობაში გაგრძელდა.

„10 წუთში, პარლამენტში მშვიდობიანად შევალთ“ – ეს ფრაზა მელიას ბევრჯერ გაუხსენეს.

დასასრული მე-3 გვერდზე



უშიშროების გამომძიებლობიდან — ენმ-ს თავმჯდომარეობამდე

მე-2 გვერდიდან

მანამდე, მელიამ და მისმა თანამოაზრეებმა მმართველი პარტიის პოლიტიკური ლიდერების, მათ შორის, პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის გადადგომა მოითხოვეს.

„ერთი საათის განმავლობაში თუ არ გადადგება ის, ვინც უნდა გადადგეს, მე მიმაჩნია, ხალხნო, აქ ჩვენ არაფერი არ გვესაქმება, პარლამენტის წინ. ჩვენ უნდა შევიდეთ პარლამენტში. ჩვენ უნდა შევიდეთ მშვიდობიანად, ხელებაწეულნი პარლამენტის შენობაში“, – თქვა მაშინ ნიკა მელიამ.

პროკურატურამ 20 ივნისს აქციის მონაწილეებისთვის პარლამენტში შეჭრისკენ მოწოდების ბრალდებით, ნიკა მელიას დაპატიმრება მოითხოვა. ბრალდება ასეთი იყო: „ჯგუფური ძალადობის ორგანიზება, ხელმძღვანელობისა და მასში მონაწილეობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლით“.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, ნიკა მელიას 6-დან – 9 წლამდე პატიმრობა ემუქრებოდა.

„პატივია, როდესაც გახარიასთან, ივანიშვილთან და გავრილოვთან ბრძოლაში დაგიჭერენ. ბოლო პოლიტიკური პანჩურის ამორტყმის შესაძლებლობა მე რომ არ მექნება, ამაზე მწყდება გული“, – თქვა მაშინ ნიკა მელიამ.

შემდეგ იყო 26 ივნისის ცნობილი სხდომა და პარლამენტში მარტო, თანაგუნდელების გარეშე მისული მელია, რომელიც ეულად იჯდა „ქართული ოცნების“ დეპუტატების პირისპირ – ამ დღეს, საქართველოს პარლამენტმა 91 ხმით არცერთის წინააღმდეგ, მხარი დაუჭირა გენერალური პროკურორის მიმართვას, ნიკა მელიას დასაპატიმრებლად სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

„მე ძალიან ბევრი რამ მექნება სათქმელი ჩემი შვილებისთვის, შვილიშვილებისთვის, თანაც სიამაყით და ვფიქრობ, თქვენ ძალიან ცოტა რამ გექნებათ სათქმელი სიამაყით თქვენი შვილებისა და შვილიშვილებისთვის. განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ იმ ეპიზოდს, როდესაც მტერი ჩასვით პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში“, – უთხრა მელიამ მაშინ დეპუტატებს.

ნიკა მელიას დეპუტატობის იმუნიტეტი შეუჩერდა. თბილისის საქალაქო სასამართლომ კი წარდგენილი ბრალდებისთვის, აღკვეთის ღონისძიების სახით, 30-ათასლარიანი გირაო შეუფარდა.

სააპელაციო სასამართლომ პროკურატურას ნიკა მელიას ელექტრონული მონიტორინგი დაავალა – მას გადაადგილება მხოლოდ ელექტრონული სამაჯურით შეეძლო. მელიას ასევე არ შეეძლო თავისუფლად გადაადგილება პროკურატურისთვის შეტყობინების გარეშე. ეს შეზღუდვა მან არაერთხელ დაარღვია, მათ შორის, ტელეეთერში მისვლით.

„მე მგონი, ამათ მართლა რეალური მელია ვგონივარ, ძაღლისებრთა ოჯახიდან“, – თქვა მაშინ ნიკა მელიამ.

სამაჯური ნიკა მელიამ, დაახლოებით, ერთი წლის შემდეგ, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გამართულ გაერთიანებული ოპოზიციის საპროტესტო აქციაზე საქვეყნოდ მოიხსნა და ხალხში მოისროლა.

„აღარ ვაპირებ ამ სამაჯურის ტარებას. გამორიცხულია. მე ამ სამაჯურს აღარ ვატარებ, რადგან ეს არის უსამართლობის სიმბოლო, ეს არის ძალადობრივი სამაჯური, რომელსაც მე აღარ შევიბამ, გამორიცხულია“, – თქვა მელიამ.

2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე, ნიკა მელია მაჟორიტარი დეპუტატობისთვის გლდანში იბრძოდა. სწორედ ამ არჩევნების გაყალბებას აპროტესტებდა გაერთიანებული ოპოზიცია. ამ საპროტესტო აქციამ პარლამენტიდან ფეხით მსვლელობით ცესკო-ს შენობასთან გადაინაცვლა.

„ამ შენობას ხალხი დაუწესებს კომენდანტის საათს. არავინ შევა და არავინ გამოვა, რადგან ამ შენობაში მუშაობის უფლება არავის არ აქვს“, – აცხადებდა ნიკა მელია, რომელიც თანამოაზრეებთან ერთად, ცესკო-ს მაშინდელი თავმჯდომარის, თამარ ჟვანიას გადადგომასა და ხელახალი არჩევნების ჩატარებას ითხოვდა.

იმ ღამით, ცესკო-სთან შეკრებილი მანიფესტანტები სპეცრაზმელებმა წყლის ჭავლით დაშალეს.

ამის შემდეგ დაიწყო ხანგრძლივი პოლიტიკური კრიზისი – ოპოზიცია, რამდენიმე გამონაკლისი პოლიტიკოსის გარდა, პარლამენტში არ შევიდა. ფასილიტატორი ელჩების მონაწილეობით, „ქართულ ოცნებასა“ და ოპოზიციას შორის დაიწყო მრავალრაუნდიანი მოლაპარაკებები, რასაც დიდხანს არ მოჰყოლია შედეგი.

2020 წლის დეკემბერში, ნიკა მელია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ახალი თავმჯდომარე გახდა.

ამ პოსტზე მის ოფიციალურ დამტკიცებამდე, პარტიაში ელექტრონული კენჭისყრა ჩაატარეს. ხმების 64.9% (13 491 ხმა) ნიკა მელიამ მიიღო. თავმჯდომარეობის კიდევ ერთმა კანდიდატმა, ლევან ვარშალომიძემ კი – 35.1% (7 288 ხმა).

2020 წლის თებერვალში, ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ნიკა მელია გენერალურ პროკურატურაში, გირაოს გადაუხდელობის გამო დაიბარეს – ჯერ გასაფრთხილებლად.

„არ გადავიხდი და ვერ დამიჭერთ“ – თქვა მაშინ ნიკა მელიამ, მაგრამ მერე იყო სასამართლო, მელიას პატიმრობა შეეფარდა, ხოლო 23 თებერვალს, ის სპეცოპერაციის შედეგად დააკავეს „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში, სადაც მხარდამჭერებსა და ოპოზიციური პარტიების ლიდერებთან ერთად იმყოფებოდა.

2020 წლის 1 ნოემბერს, როცა პარლამენტთან საპროტესტო აქციაზე, ნიკა მელიამ ელექტრონული მონიტორინგის სამაჯური საჯაროდ მოიხსნა, პროკურატურამ სასამართლოს მიმართა გირაოს 100 000 ლარამდე გაზრდის შუამდგომლობით. სასამართლომ გირაო გაიზარდა 40 000 ლარით და მელიას გადახდის ვადად 50 დღე მისცა.

16 თებერვალს, პარლამენტმა მელიას იმუნიტეტი შეუჩერა და ამით საქალაქო სასამართლოს მიეცა შესაძლებლობა, მისთვის წინასწარი პატიმრობა შეეფარდებინა.

შსს ნიკა მელიას დაპატიმრებას 18 თებერვალს გეგმავდა, თუმცა გადადო მას შემდეგ, რაც გიორგი გახარიამ, მოულოდნელად, საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობა დატოვა და მიზეზად დაასახელა მელიას დაპატიმრების გამო აზრთა სხვადასხვაობა მასსა და „ქართული ოცნების“ სხვა წარმომადგენლებს შორის.

„ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობის მიერ, პრემიერ-მინისტრად ირაკლი ღარიბაშვილის დამტკიცებიდან მალევე, 23 თებერვალს დილით კი, საპოლიციო ძალებმა გადაწყვეტილება შეასრულეს და მელია დაიჭირეს.

ოპოზიციის ლიდერის დაკავებას დიდი რეზონანსი მოჰყვა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ, უცხოელი პარტნიორების მხრიდანაც არაერთი კრიტიკული განცხადება გაკეთდა.

საპროტესტო აქცია-მსვლელობებისა და მოლაპარაკებების შემდეგ, საბოლოოდ, ნიკა მელიას გირაო – 40 000 ლარი, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობამ გადაიხადა. ეს იყო შედეგი 2021 წლის 19 აპრილს, ევროკავშირის მედიაციით მიღებული შეთანხმების კონტექსტში, პოლიტიკური პარტიების მიერ მიღწეული ურთიერთგაგებისა.

მელია ციხიდან გათავისუფლდა.

ბოიკოტისა და პატიმრობის შემდეგ, საქართველოს პარლამენტში შესულმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარემ პარლამენტის ტრიბუნიდან თქვა:

„მე შემოვედი ამ დარბაზში, დღეს, ჩემს მეგობრებთან ერთად, რომ თითოეული თქვენგანი, რაც შეიძლება მალე, სათითაოდ გაგიყვანოთ ამ დარბაზიდან და ამის შემდეგ საზოგადოებას მიეცეს შესაძლებლობა, რომ აირჩიოს ნამდვილი პარლამენტი და ლეგიტიმური ხელისუფლება“.

ამ ამბების შემდეგ, ნიკა მელიამ პარლამენტის დეპუტატის მანდატი დატოვა და განაცხადა, რომ ის მთლიანად ერთვებოდა წინასაარჩევნო კამპანიაში და „ოქტომბრის რეფერენდუმის“, 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ბრძოლაში.

2021 წელს, ნიკა მელია გაერთიანებული ოპოზიციისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სახელით, ისევ თბილისის მერობისთვის იბრძოდა, თუმცა ისევ დამარცხდა.

ამის შემდეგ, გამოხდა ხანი და მელიას მიმართ „ნაცების“ ნაწილში უკმაყოფილებამ პიკს მიაღწია.

„სუსტი ლიდერი“ – ეს არის ფრაზა, რომელსაც „ანტიმელიისტები“ ნიკანორის მისამართით ყველაზე ხშირად ამბობენ. ბოლო დროს კი განსჯის საგანი კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსნის, სოსო თოფურიძის განცხადება გახდა, რომელმაც ის თანხები გაასაჯაროვა, რასაც პარტია მელიას პიარსა თუ ვოიაჟებზე ხარჯავს. მართალია, მელიამ თოფურიძეს პასუხი გასცა, მაგრამ პრობლემა ამით არ მოგვარებულა – მელია ენმ-ს თავზე ისევ დამოკლეს მახვილივით ჰკიდია. ჰოდა, როდის ამოიფრქვევა ექსმმართველ პარტიაში ვულკანი, არავინ იცის, თუმცა თავისთავად ნათელია, რომ პარტიაში გავლენის სფეროებისთვის ბრძოლა, ლამის, წესების გარეშე მიმდინარეობს. ისე, რაც უნდა იყოს, ისიც ცხადია – მელია სააკაშვილი ვერასოდეს გახდება. რატომ? – პასუხი მარტივია: მიშასნაირი გიჟური ქარიზმა არ აქვს!

თათია გოჩაძე
598-43-50-34

კახა კუკავას პოლიტიკური აღსარება

რატომ არ აპირებს 2024 წლის არჩევნებში მონაწილეობას და რას თვლის „მიქარვად“ პოლიტიკოსი

ზოგი ოპოზიციონერის მიერ დაანონსებული პოლიტიკურად ცხელი შემოდგომისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ქვეყანაში პოლიტიკური პროცესები რომ წყნარ ტონში ვითარდება, ცალსახაა. მმართველი ძალა ევროკავშირის მიერ გადმოცემული 12-პუნქტიანი გეგმის შესასრულებლად საკანონმდებლო ინიციატივებს ქმნის და განიხილავს. საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი ამ გეგმის შესასრულებლად დამოუკიდებლად მუშაობს. პარალელურად, პარლამენტი ახალი სახალხო დამცველის ასარჩევად ემზადება და ენმ-ის მიერ დაანონსებული საპროტესტო აქციებიც ვადამდელი არჩევნების მოთხოვნით, არ ჩანს... ამის ფონზე, საინტერესოა, რას გეგმავს, როგორ მოქმედებს და რატომ აღარ ჩანს მედიაში ე.წ. შუაშისტური პოლიტიკური ფლანგი... „ვერსია“ თავისუფალი საქართველოს ლიდერ კახა კუკავას ესაუბრა:

– ბატონო კახა, რატომ აღარ ჩანხართ აქტიურ პოლიტიკაში, რას საქმიანობთ, რას გეგმავთ?

– ტელევიზიებით არ ვჩანვართ იმიტომ, რომ ბოიკოტი აქვთ გამოცხადებული იმ ოპოზიციური პარტიების მიმართ, რომლებიც არც „ქოცების“ ფლანგზე არიან და არც – „ნაცების“, თუმცა სოციალურ ქსელში თუ დააკვირდებით ჩვენს აქტივობას, თუნდაც გამოსახლებებთან დაკავშირებით, ნათლად ჩანს, რომ ჩვენი მოძრაობის მიმართ ინტერესი გაცილებით მაღალია, ვიდრე – სხვა პარტიების. პარტიების ათასობით დოლარით დარეკლამებულ გვერდებზე ათჯერ მეტი ინტერესი ჩვენს გვერდზე დადებული ვიდეოების მიმართ აქვს ხალხს.

რაც შეეხება იმას, თუ რას ვგეგმავთ არასაპარლამენტო ოპიზიციაში, ამაზე თქვენთან არაერთხელ მისაუბრია და იმავეს ვფიქრობ, რომ უნდა მოხდეს „არაქოც“ და „არანაც“ პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ჯგუფების ერთ კოალიციაში გაერთიანება, თუმცა ვერ გეტყვით, რომ ამაზე ინტენსიურად ვმუშაობთ.

ამ საკითხზე ვსაუბრობთ, თუმცა ეს პროცესი მიდის ძალიან ნელა გამომდინარე იქიდან, რომ ძალიან ამორფულია ე.წ. შუაშისტების მასა და ჭირს ყველაფერ ამის პოლიტიკურ ერთეულად გარდაქმნა, თუმცა დღეს იქნება თუ ხვალ, ეს უნდა მოხდეს, რადგან „ქოცი“ და „ნაცი“ არის ერთი და იგივე ჭაობი ქვეყნისთვის და რაც უნდა რთული იყოს, უნდა შეიქმნას ახალი მოძრაობა ქვეყანაში.

– რატომაა ამორფული არასაპარლამენტო ოპოზიცია?

– დავაკონკრეტოთ, რომ არ ვგულისხმობ მხოლოდ პარტიებს, რადგან პარტიული სპექტრი საკმაოდ სუსტი ვართ და პარტიების მექანიკური ჯამი არაფერს იძლევა. თუ ვსაუბრობთ გარკვეულ ერთიან ძალაზე, უფრო სწორი იქნება, გამოვთვალოთ არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობიდან ის, რომ მოსახლეობის მინიმუმ 50% პოლიტიკურ პროცესში არ მონაწილეობს. პირველ რიგში, ეს ხალხი უნდა ჩამოყალიბდეს მოძრაობად, მათ შორის, არასაპარლამენტო პარტიებიც...

– იმას გულისხმობთ, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციამ უნდა აითვისოს ხმები, რომელსაც ვერც ერთი საპარლამენტო პარტია ვერ იღებს და რა გიშლით ამაში ხელს?

– ალბათ, ის, რომ არასაპარლამენტო პარტიების დიდი ნაწილი არის ორიენტორებული საპარლამენტო, ლიბერალურ პარტიებსა და მედიაზე. სახელებსა და გვარებს ნუ მომთხოვთ, მაგრამ ვერ დავარწმუნე ისინი, რომ სჯობდა დამოუკიდებლად მოქმედება. ისინი მაინც მიიჩნევენ, რომ ჩვენ არ გვაქვს ტელევიზია, ფული, ვართ სუსტები და ამიტომ სჯობს, მაინც „ნაცების“ ირგვლივ ვიტრიალოთ. ეს საკუთარი ძალების უნდობლობაა...

ობიექტურ მიზეზებს რაც შეეხება, კარგად ვხვდებით, რომ უზარმაზარი ფულია ლიბერალურ ოპოზიციაში, რომელთანაც კონკურენცია მართლა ძნელია. უბრალოდ, როცა ჩემს მეგობრებს ვეუბნები, შეეშვით „ნაცებს“ და კოალიცია შევქმნათ-მეთქი, გამოვდივარ იქიდან, რომ რაც უნდა ბევრი ფული ჰქონდეთ მათ, მაინც წყალში გადაყრილია და „ნაცების“ თითოეული აქტივობა აძლიერებს „ქართულ ოცნებას“...

– რადგან არაერთხელ ახსენეთ, ენმ-ში მიმდინარე პროცესებზეც მაინტერესებს თქვენი მოსაზრება... როგორც ვხედავთ, ღია დაპირისპირებაა პარტიაში გავლენების გადანაწილებისთვის. როგორ ფიქრობთ, მთავარ ოპოზიციურ პარტიაში მიმდინარე ეს პროცესი ქვეყნისთვის სასარგებლო იქნება თუ საზიანო?

– ქვეყნისთვის იქნება სასარგებლო, თუ ყველაფერი დამთავრდება ნაციონალური მოძრაობის განადგურებით, რადგან დღეს ქვეყნის სერიოზული პრობლემაა ის, რომ ბიძინა ივანიშვილის მთავარი დასაყრდენი არის მიხეილ სააკაშვილი. რომ არა სააკაშვილი, ბიძინა ივანიშვილი ამდენხანს ვერ იქნებოდა ხელისუფლებაში. ამიტომ, როგორც კი დაემხობა სააკაშვილის პარტია, მიჰყვება „ქართული ოცნებაც“. აქედან გამომდინარე, მივესალმები, თუ განადგურდება ან ნაწილებად დაიშლება ერთიანი ნაციონალური მოძრაობა.

დასასრული მე-5 გვერდზე

კახა კუკავას პოლიტიკური აღსარება

მე-4 გვერდიდან

– სააკაშვილის ადვოკატებმა განაცხადეს, რომ მესამე პრეზიდენტი დისტანცირდა ქართული პოლიტიკიდან.

– თათია, ძალიან ახალგაზრდა ხარ და ალბათ, არ გახსოვს მიხეილ სააკაშვილი... ის არის ჩვეულებრივი თაღლითი, რომელიც ადვოკატსა და შვილს ეუბნება მაგას და უშვებს ამ მესიჯს, მაგრამ მეორე მხრივ, ვხედავთ, რას აცხადებენ მის პარტიაში, ამიტომაც ორ ცხენზე ჯდომა მისთვის დამახასიათებელია. თუ ეს რეალურად აქვს გადაწყვეტილი, მაშინ ამაზე უნდა ილაპარაკოს არა მარტო ვალერი გელბახიანმა, რომელიც არაა ნაციონალური მოძრაობის წევრი... ადვოკატი გელბახიანი ამბობს, მიშა პოლიტიკიდან მიდისო, მერე გამოდის ნუგზარ წიკლაური, მიშა ჩვენთანაა და ბრძოლა ბოლომდეო... ეს ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო მესიჯი მკაფიოობას არ წარმოშობს.

– როგორც ჩანს, ნიკა მელიას უპირისპირდება პარტიაში სააკაშვილის მხარდამჭერი ჯგუფი. გიორგი მუმლაძემ ისიც კი თქვა, მელია თავმჯდომარეობიდან პანღურითაა გასაგდებიო. როგორ ფიქრობთ, მელია წავა პარტიიდან და დაშლის ენმ-ს?

– არ ვიცი, ეს ინტრიგები როგორ დამთავრდება.

ნიშანდობლივია ორი ფაქტორი, რაც ნაცმოძრაობის შიგნით დუღილს ამოძრავებს. ერთია უნიჭობა, ენმ-ში დღეს არც ერთი ნიჭიერი პოლიტიკოსი არაა, რომელიც იტვირთებდა ლიდერის ფუნქციას, ყველაზე მეტი მონაცემები, ამ თვალსაზრისით, ჰქონდა მელიას. ყველა დანარჩენი უნიჭოა, პოლიტიკაში შემთხვევით მოხვედრილი, რომელიც არათუ ივანიშვილის წინააღმდეგ ვერ იმოქმედებს, არამედ, პირიქით, ვნახეთ ბოლო წლებში არაერთი შემთხვევა, როცა ქუჩაში გასაპროტესტებლად გამოსული ძალიან ბევრი ადამიანის მუხტი ნაციონალური მოძრაობის ლიდერებმა ჩააცხრეს.

მეორე პროცესი არის ივანიშვილის „ჯაშუშები“ ნაციონალურ მოძრაობაში, „ივანიშვილის ფული“ – ასე დავარქვათ, რომლებიც ყველანაირად ცდილობენ, ნაციონალური მოძრაობა არ ჩამოყალიბდეს რეალურ ოპონენტად. ივანიშვილი ცდილობს, ოპოზიციის ნებისმიერი ქმედება დაუკავშიროს სააკაშვილს და მისთვის ნაცმოძრაობა, რომელიც იქნება იდენტიფიცირებული სააკაშვილთან, იქნება უსაფრთხო, მაგრამ ნებისმიერი კოალიცია, რომელიც არ იქნება რევანშიზმსა და სააკაშვილთან ასოცირებული, შეიძლება გახდეს წარმატებული.

– პოლიტიკურად ცხელ შემოდგომას რომ აანონსებდა ზოგი ოპოზიციონერი და ჯერჯერობით, მსგავსი არაფერი ჩანს, ამას როგორ აფასებთ?

– როცა ეს დააანონსეს, მაშინვე დავწერე „ფეისბუქზე“, ხოშტარია და ჯაფარიძე 70 კაცს ვერ გამოიყვანენ ქუჩაში-მეთქი.

ბოლო-ბოლო, გამოცდილება დაგროვდა და ვხედავთ, რა რესურსია. როცა ვამბობ, რომ ოპოზიციაში უნიჭო ადამიანები არიან, პირადი გულისწყრომა კი არ მაქვს, ამას ვხედავ. მე არც ის გაერთიანებული ოპოზიცია მომწონდა, რომლის მონაწილეც ვიყავი 2007-2008-2009 წლებში, მაგრამ იმას ვერც კი შეადარებ...

დღევანდელთან შედარებით, ის „რომის სენატი“ იყო. ასეთ ხალხს, დღეს რომ განაგებს ოპოზიციას, ჩვენ დროშებს ვატარებინებდით აქციაზე დასაჭერად. არიან აბსოლუტურად აპოლიტიკური, საკუთარი ხალხის, კულტურის არმცოდნე ადამიანები.

ერთ მაგალითს მოგიყვანთ, ოპოზიცია რომ ხვიჩა კვარაცხელიას ლანძღვას დაიწყებს, ეს ხომ კარგად აჩვენებს, რამდენად აცდენილნი არიან საკუთარ ხალხს.

დღეს ამ ბიჭით ცხოვრობს, ხარობს ხალხი და ოპოზიცია მას რომ ლანძღავს, ეს ხომ ნიშნავს, რომ სხვა პლანეტაზე ცხოვრობენ?!

ავტორიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლა გულისხმობს მასობრივი მოძრაობის ჩამოყალიბებას, რომელიც ოპიზიციას გააერთიანებს. დღევანდელი ლიბერალური ოპოზიცია კი ყველგან კლავს წინააღმდეგობის მუხტს. ელენე ხოშტარია და ზურა ჯაფარიძე რომ აანონსებდნენ ცხელ შემოდგომას, რა თქმა უნდა, მათ ეთნიკურ ქართველობაში ეჭვი არ შემაქვს, მაგრამ მენტალურად ქართველი არც ერთია.

უცხოა ჩვენი საზოგადოებისთვის ეს ხალხი და არც მალავენ ისინი ერთგვარ ზიზღს. მუდმივად ზემოდან უყურებენ საზოგადოებას, აკრიტიკებენ ხალხს, რომ ჩამორჩენილი და ბნელია...

– ბატონო კახა, წელან თქვით, დიდი ოპოზიციური გაერთიანებაა გამოსავალიო და იმ ოპოზიციამ, რომელსაც ასე მწვავედ აკრიტიკებთ, გაერთიანება და ერთ მაგიდასთან დაჯდომა რომ შემოგთავაზოთ, დათანხმდებით?

– არა, რა თქმა უნდა იმიტომ, რომ ამას ერთხელ უკვე დავთანხმდი და ძალიანაც „მივქარე“. გახსოვთ, ალბათ, შალვას „ფანჩატური“. ეს იყო ექსპერიმენტი და ეს შეცდომა ერთხელ უნდა დამეშვა. მაშინ გამაკრიტიკეს ამის გამო, თუმცა იმ დროს, გაერთიანების საკითხი ყველა კონკრეტული პარტიის ინტერესზე მაღლა იდგა. დავრწმუნდი, რომ შეუძლებელია ამ ადამიანებთან თანამშრომლობა, რადგან ცდილობენ, ნებისმიერი პოლიტიკური პროცესი საკუთარ ვიწროპარტიულ ინტერესს მოარგონ.

– ცოტა ხნის წინ, ე.წ. გამოსახლებების წინააღმდეგ საპროტესტო აქციაზე დაგაკავეს... ზოგი პოპულიზმში გადანაშაულებთ, რადგან მიიჩნევენ, რომ ბანკების მიერ გამოსახლება კანონიერი გზით ხდება. საინტერესოა, რატომ აირჩიეთ ეს საკითხი პროტესტისთვის?

– ზუსტად იმიტომ ავირჩიე, რომ ეს საკითხი ჩემი გამოგონილი კი არა, არამედ, საზოგადოებისთვის აქტუალურია და ოპოზიცია ასეთ სასიცოცხლო საკითხებზე რომ არ საუბრობს, იმიტომაც აგებს ყველა არჩევნებს ივანიშვილთან.

ოპოზიცია მუდმივად უნდა იყოს ორიენტირებული იმაზე, რაზეც ხალხი ლაპარაკობს და მსჯელობს. ასე თუ არ მოხდა, მაშინ ოპიზიცია ხალხს დასცილდება. გამოსახლების პრობლემა, მინიმუმ, ნახევარი მილიონი ქართველისთვის სიკვდილ-სიცოცხლის მნიშვნელობისაა. ამას არ აშუქებს არც ერთი მედიასაშუალება, ამაზე არ საუბრობს არც ერთი პარტია ჩვენ გარდა და მერე უკვირთ, რატომ არ აქვთ მხარდაჭერა.

– 2024 წლის არჩევნებში მონაწილეობას აპირებთ?

– დღეს შემიძლია გითხრათ, რომ არ ვაპირებ და ვფიქრობ, შეიძლება, ჩემი შეცდომა ესეც იყო...

არჩევნებში მონაწილეობა არ უნდა იყოს ძირითადი თვითმიზანი პოლიტიკური საქმიანობისთვის. ჩემი ამოცანაა, შეიქმნას ის მოძრაობა, რაზეც გესაუბრეთ და თუ ეს მოხდა, არჩევნებში აუცილებლად აჩვენებს კარგ შედეგს. ხოლო თუ არ შეიქმნა, ყველა პარტიის ერთადერთი ამოცანა არის ხოლმე არჩევნებში არა რეალურად ხელისუფლებასთან კონკურენცია, არამედ, ერთი ან ორი მანდატის მოპოვება.

გამოდის პარტია, ყველამ იცის, რომ 1 ან 2 პროცენტს აიღებს და ბაქიბუქობს, ყველაფერს შევცვლი, უმრავლესობით მოვალო.

ერთმანეთსაც ვატყუებთ, საკუთარ თავსაც და ყველას... დაახლოებით, ყველამ ვიცით, რომ იმ პოლიტიკურ სპექტრს, რომელიც საქართველოშია, ერთი-ორი პროცენტი აქვს... შეიძლება გახარიამ 3% აიღოს, თუ გაუმართლა...

– ბატონო კახა, პოლიტიკურ აღსარებას მაბარებთ? ასე თვითკრიტიკული ადრე არ მახსოვხართ...

– ადრეც ამ პოზიციაზე ვიყავი. არასდროს მითქვამს ჩემს პარტიაზე, რომ 50%-ის აღებას შეძლებდა. უბრალოდ, ადრე ვთვლიდი, რომ არჩევნებში მონაწილეობა გამოგვეყენებინა, როგორც საეტაპო პროცესი, მაგრამ ესეც შეუძლებელი გახდა, რადგან ხელისუფლებამ პარლამენტში შეიყვანა ის პარტიები, რომელთა განეიტრალებას უფრო ადვილად შეძლებს, ჩვენ კი დაგვტოვა გარეთ.

პარლამენტში მყოფ ოპოზიციას ხელისუფლება დებატებს ყოველთვის მოუგებს, მაგრამ დღეს რომ იქ იყოს „თავისუფალი საქართველოს“ ფრაქცია, რომელიც იტყოდა, გამოსახლებებზე უნდა გამოვაცხადოთ მორატორიუმიო, ხელისუფლება ჩავარდებოდა უხერხულ მდგომარეობაში და ესაა პასუხი იმაზე, თუ რატომ შეიყვანეს ელისაშვილი, ვაშაძე და რატომ დაგვბლოკეს ჩვენ.

მაკა რუხაძე

დავით ნარმანია: „ამ ეტაპზე, ტარიფების მატება მოსალოდნელი არ არის“

როგორ ხვდება ენერგეტიკის სექტორი ზამთარს

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) თავმჯდომარე დავით ნარმანია აცხადებს, რომ ამ ეტაპზე, დენისა და გაზის ტარიფების მატება მოსალოდნელი არ არის. ჟურნალისტებთან შეხვედრაზე, სემეკის თავმჯდომარემ ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორებში არსებულ მდგომარეობაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ ენერგეტიკის სექტორი ზამთარს მომზადებული ხვდება.

სემეკის თავმჯდომარე დავით ნარმანიამ აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს, შარშანდელთან შედარებით, ელექტროენერგიის წარმოება 9.8%-ით გაიზარდა. 2021 წელს, ელექტროენერგიის ჯამური გამომუშავება 12.431 მილიარდი კვტ/სთ, ხოლო 2022 წელს – საპროგნოზო მაჩვენებლების შესაბამისად, ჯამური გამომუშავება 13.645 მილიარდი კვტ/სთ-ია. ჰიდროელექტროსადგურების (ჰესების) მიერ ელექტროენერგიის გამომუშავება წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, 4%-ით მეტია. 2021 წელს, ჰესების ჯამური გამომუშავება 10.064 მილიარდი კვტ/სთ იყო, ხოლო 2022 წელს – ჯამური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 10.466 მილიარდი კვტ/სთ-ით:

„ჰიდროელექტროსადგურების გამომუშავების წილის ზრდა განპირობებულია ენგურჰესის რეაბილიტაციის შედეგად, სადგურის წარმოების მაჩვენებლების გაუმჯობესებით. რაც შეეხება ელექტროენერგიის შიდა მოხმარებას, შარშანდელთან შედარებით, წელს, მოხმარება გაზრდილია 6.2%-ით და 14.914 მილიარდ კვტ/სთ-ს შეადგენს. ამასთან, 2021 წელთან შედარებით, 27%-ით შემცირებულია იმპორტი და 2022 წლის საპროგნოზო მაჩვენებლების გათვალისწინებით, მიმდინარე წელს განხორციელებული იმპორტის ჯამური მოცულობა 1.465 მილიარდი კვტ/სთ-ია. საქართველომ იმპორტის განხორციელება სექტემბერში უკვე დაიწყო, ხოლო ექსპორტი მინიმუმამდე შეამცირა. იმპორტი განხორციელდა აზერბაიჯანიდან“, – აღნიშნა დავით ნარმანიამ.

მისი განცხადებით, საქართველოსთვის ბუნებრივი გაზი კვლავ რჩება ენერგიაზე საბოლოო მოთხოვნის დაკმაყოფილების უმთავრეს წყაროდ. საქართველოს ენერგეტიკული ბალანსის მიხედვით, ენერგიის ჯამურ მოხმარებაში ბუნებრივი გაზის წილი 38%-ს აჭარბებს. დავით ნარმანიას განმარტებით, ბუნებრივ გაზზე საქართველოს მოთხოვნის 99%-ზე მეტი კმაყოფილდება იმპორტით, ხოლო დარჩენილი მცირე ნაწილი – ადგილობრივი მოპოვებით. გაზის უმთავრესი მომწოდებელია აზერბაიჯანის რესპუბლიკა. საშუალოდ, საქართველო აზერბაიჯანიდან იღებს ქვეყნის მთლიანი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საჭირო ბუნებრივი გაზის 91%-ს.

დავით ნარმანიას თქმით, გრძელვადიანი მოწოდების კონტრაქტების ფონზე, საქართველო ინარჩუნებს ბუნებრივი გაზის ბაზრისა და ფასების სტაბილურობას. სისტემა ტექნიკურადაც მზადაა და ზამთრის პერიოდში არსებული მოთხოვნაც დაკმაყოფილდება ისე, როგორც წინა ზამთრის პერიოდებში, ჩვეულებრივად, გაზის სხვადასხვა კონტრაქტების საშუალებით ხდებოდა.

„განხორციელდა დაგეგმილი სამუშაოები „სოკარის“ მფლობელობაში არსებული განაწილების ინფრასტრუქტურაზე, ქვეყნის შიგნით. აზერბაიჯანიდან გაზის მოწოდება გრძელდება არსებული ხელშეკრულებების ფარგლებში. დამტკიცებული ბალანსის შესაბამად, ქვეყნის ბუნებრივ გაზზე მოთხოვნის უზრუნველყოფა დაგეგმილია აზერბაიჯანიდან. არსებული მოცემულობისა და მზაობის ხარისხის გათვალისწინებით, გაზის მოწოდების თვალსაზრისით გამოწვევებს არ ველოდებით.

მიმდინარეობს ბუნებრივი გაზის ბაზრის გახსნის საწყისი სამუშაოები, ამ პროცესში მარეგულირებელი კომისია აქტიურადაა ჩართული. ვაანალიზებთ ელექტროენერგეტიკის ბაზრის გახსნის პროცესში დაგროვილ გამოცდილებასა და ვითვალისწინებთ ბუნებრივი გაზის ლიბერალიზაციის გზაზე“.

დავით ნარმანიასვე განცხადებით, „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების შემდეგ, ბუნებრივი გაზის განაწილებისა და ტრანსპორტირების ლიცენზიის მფლობელებს დაეკისრათ ხელახალი ავტორიზაციის გავლის ვალდებულება. თუმცა, კანონის ამოქმედებამდე ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებისა და განაწილების უკვე გაცემული ლიცენზიები დროებით ინარჩუნებენ ძალას და მათი მფლობელები, კანონით დადგენილი წესით განცალკევების დასრულებამდე, აგრძელებენ შესაბამისი მომსახურებების გაწევას. აღნიშნული ლიცენზიების მოქმედება, კანონის საფუძველზე, ახალი ლიცენზიის ამოქმედებისთანავე, ავტომატურად შეწყდება. მიმდინარე პერიოდში, ლიცენზიატი კომპანიები გადიან აღნიშულ პროცესს და ახალი კანონით განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, გადიან ავტორიზაციას.

„კომისია ყოველწლიურად ითანხმებს ლიცენზიატი კომპანიების მიერ წარმოდგენილ განვითარების ხუთწლიან გეგმებს. აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს სისტემის პროგნოზირებად და მდგრად განვითარებას. სამი მსხვილი გამანაწილებელი კომპანიის მონაცემების მიხედვით, არსებული გამანაწილებელი ქსელის რეაბილიტაციისა და ახალი ქსელის მშენებლობის ფონზე, ბოლო წლების განმავლობაში, შემცირებულია უბედური შემთხვევების რაოდენობის სტატისტიკა“, – დასძინა დავით ნარმანიამ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნარკოდანაშაულისთვის ოთხი პირი დააკავა – ამოღებულია სხვადასხვა სახის ნარკოტიკი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს და გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოების თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულისთვის ოთხი პირი – 1997 წელს დაბადებული ე.ს., 1995 წელს დაბადებული ს.ო., 1983 წელს დაბადებული მ.ქ. და 1996 წელს დაბადებული ს.მ. დააკავეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულების მიერ მითითებული ადგილებიდან, ასევე, მათი პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები ნივთმტკიცებად ამოიღეს. დანაშაული 8-დან 20 წლამდე, ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ე.ს. თბილისში დააკავეს. პოლიციამ ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას, აგრეთვე, მის მიერ მითითებული სპეციალური სამალავებიდან, სარეალიზაციოდ გამზადებული 3 შეკვრა „კოკაინი“ და 9 შეკვრად დაფასოებული „მარიხუანა“ ნივთმტკიცებად ამოიღო.

ვაკე-საბურთალოსა და გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოების თანამშრომლებმა ბრალდებულები – ს.ო. და ს.მ. სხვადასხვა დროს, თბილისში დააკავეს. ს.ო.-ს პირადი ჩხრეკისას, სამართალდამცველების მიერ ნივთმტკიცებად ამოღებულია 25 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება „ალფა-პვპ“. გარდა ამისა, პოლიციამ, ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს, დაკავებულის მიერ სარეალიზაციოდ გამზადებული კიდევ 5 შეკვრა ნარკოტიკული საშუალება ამოიღო. ს.მ.-ის პირადი ჩხრეკის შედეგად კი, სამართალდამცველებმა ნივთმტკიცების სახით ამოიღეს ნარკოტიკული საშუალება „სუბუტექსის“ 49 აბი და აბის ნატეხები.

რაც შეეხება მ.ქ.-ს, იგი სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. მისი პირადი ჩხრეკისას, პოლიციამ 100 აბი ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინი“ ნივთმტკიცებად ამოიღო.

დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების გასაღების მცდელობის და მარიხუანის უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტებზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილებით, 19-260-ე მუხლის მე-5 ნაწილით და 273-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით.

რა ცვლილებები შევიდა 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში

მაკა რუხაძე

საქართველოს პარლამენტში 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვა დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკის პოლიტიკის კომიტეტმა უკვე დაიწყო. თუმცა, წლის ბოლომდე ანუ მომდევნო წლის ბიუჯეტის დამტკიცებამდე ორი თვეა დარჩენილი და ამ პერიოდში, ქვეყნის მთავარ ფინანსურ დოკუმენტში გარკვეული ცვლილებების პროექტი მომზადდება. სამაგიეროდ, საკანონმდებლო ორგანოში მიმდინარე, 2022 წლის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების პროექტი განიხილეს და ამ ცვლილებების შესახებ, გენერალური აუდიტორის დასკვნასაც მოუსმინეს.

ქვეყნის მთავარი ფინანსური დოკუმენტი ახლადდანიშნულმა გენერალურმა აუდიტორმა შეაფასა

საქართველოს ფინანსთა მინისტრის პირველმა მოადგილემ გიორგი კაკაურიძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა, რომ 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავალი 1.2 მილიარდი ლარით იზრდება. გიორგი კაკაურიძემ პარლამენტის წევრებს მიმდინარე წლის ძირითადი ფინანსური დოკუმენტის ფისკალური და მაკროეკონომიკური პარამეტრები გააცნო და იმ მიმართულებებზე ისაუბრა, სადაც გაზრდილი შემოსავლები გადანაწილდება. მისი ინფორმაციით, დაგეგმილთან შედარებით, ქვეყანაში არსებულმა ეკონომიკურმა ზრდამ, ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა და საქონლის ექსპორტის გაზრდილმა მაჩვენებლებმა სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა განაპირობა.

„განახლებული მაკროეკონომიკური პროგნოზები შემდეგ ცვლილებებს ითვალისწინებს: რეალური ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი, მანამდე არსებული 6%-ის ნაცვლად, 8.5%-მდე იზრდება. ფაქტიური მაჩვენებლების გათვალისწინებით, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) დეფლატორის პროგნოზი 10.5%-ია. ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზი 72.2 მილიარდი ლარის ოდენობით განისაზღვრება და ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 1 მილიარდ 266 მილიონი ლარით იზრდება“, – განაცხადა გიორგი კაკაურიძემ.

მისივე თქმით, გაზრდილი შემოსავლებიდან 710 მილიონი ლარი – სახელმწიფო ვალების შემცირებას, ხოლო 507 მილიონი ლარი – სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების დაფინანსების გაზრდას მოხმარდება.

საბიუჯეტო ცვლილებების პროექტი პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძემ შეაფასა:

„ბიუჯეტის ცვლილებები განპირობებულია მაღალი ეკონომიკური ზრდით, რაც ბოლო პერიოდში საქართველოს ეკონომიკაში არსებობს. აგვისტოში ჩვენ გვქონდა 10.5%-იანი ზრდა, ხოლო რვა თვის საშუალო მონაცემებით, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) რეალური ზრდა 10.3%-ია, ბიუჯეტში ჩადებული გვაქვს 6%-იანი ზრდა. საპროცენტო განაკვეთების გარდა, ეკონომიკა ყველა მიმართულებით აჩვენებს ზრდას და ჩვენი პროგნოზი ამ მიმართულებით გამართლდა. საქართველოს ეკონომიკის გეგმიურზე მაღალი ზრდის ტემპი გახდა ფუნდამენტი იმისა, რომ განახლდა მაკროეკონომიკური პარამეტრები და 6%-ის ნაცვლად, ბიუჯეტში ჩადებულია 8.5%-იანი ზრდა. ნომინალში, მშპ 64.8 მილიარდი ლარის ნაცვლად, წარმოდგენილია 72.2 მილიარდი ლარით. დეფიციტის მაჩვენებელი – 4.4 პუნქტი შემცირებულია 3.2 პუნქტამდე, რაც პრინციპულად მნიშვნელოვანი საკითხია. ის გავლენას ახდენს, როგორც ინფლაციაზე, ასევე, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ეროვნულ ბანკს, რომ შეამციროს ინფლაციური ზეწოლა საქართველოს ეკონომიკაზე და ლარის კურსთან დაკავშირებულ საკითხებზე. საგარეო ვალის აბსოლუტური მოცულობა მცირდება 883 მილიონი ლარით და ვალის მოცულობა 40%-ს სცილდება. ორივე პარამეტრი, რომელსაც ჩვენი კომიტეტი უყურებს ანუ დეფიციტი და ვალის მოცულობა მნიშნელოვანია, როგორც ფისკალური მდგრადობის, ასევე, მონეტარული სტაბილურობის თვალსაზრისით. ბიუჯეტის კორექტირებული ვერსიით, ხარჯები გაიზრდება 507 მილიონით და მთლიანობაში, ასიგნებები მიაღწევს 19 მილიარდ 678 მილიონ ლარს“, – განაცხადა ირაკლი კოვზანაძემ.

2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების პროექტი პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ, მიხეილ სარჯველაძემ შეაფასა:

„რასაკვირველია, ეს პროექტი იმსახურებს მხარდაჭერას იმიტომ, რომ ხარჯების გასაწევად დამატებითი შესაძლებლობები გაჩნდა, რაც მხოლოდ პროგრესზეა ორიენტირებული. მიმაჩნია, რომ პენიტენციური სისტემის 10 მილიონი ლარით გაზრდილი დაფინანსება უმნიშვნელოვანესია. მიუხედავად ამისა, ეს არ არის საკმარისი თანხა და სისტემას უფრო მეტი ფინანსები სჭირდება, უბრალოდ, დავდექით იმ რეალობის წინაშე, რომ შესაძლოა, ეს თანხა მომავალი წლისთვის ყოფილიყო გამოყოფილი, მაგრამ სისტემის დაფინანსება მიმდინარე წელსვე გაიზრდება“.

2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილებების პროექტზე, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, საქართველოს გენერალურმა აუდიტორმა, ცოტნე ყავლაშვილმა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა წარადგინა. ქვეყნის მთავარი მაკონტროლებლების შენიშვნები და მოსაზრებები გამოთქმულია ყველა მნიშვნელოვან მიმართულებაზე, მათ შორის, განახლებულ მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე, ფისკალურ დეფიციტზე, ფისკალური რისკების შეფასების საკითხებზე, ვალის განახლებულ პარამეტრებზე, ბიუჯეტის შემოსულობების ცალკეულ კატეგორიებზე, ბიუჯეტის გადასახდელებზე, ასევე, პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტირების საკითხებზე.

„პლენარულ სესიაზე, 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილებები დასამტკიცებლად ფინანსთა სამინისტრომ წარადგინა. სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილება, ძირითადად, განაპირობა მოსალოდნელზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ზრდამ 1 მილიარდი ლარით. 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტით წარმოდგენილ მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების განახლებულ პროგნოზებში, მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციებია ასახული. კერძოდ, ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 6.0%-დან 8.5%-მდე გაიზარდა, მშპ-ს დეფლატორი – 4.5%-დან 10.5%-მდე და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი – 7.6%-დან 6.9%-მდე შემცირდა. კანონპროექტზე თანდართულ „მაკროეკონომიკური სცენარების ანალიზის“ განახლებულ დოკუმენტში იდენტიფიცირებულ ეკონომიკურ რისკებს დაემატა ერთი ახალი რისკი – მსოფლიოში მოსალოდნელი რეცესია. ამასთან, დოკუმენტი აღარ ითვალისწინებს წინა რედაქციაში ასახულ ორ რისკს – „გაზრდილ გლობალურ ვალს“ და „გლობალურ მომხმარებელთა ქცევას“. მნიშვნელოვანია, დოკუმენტში წარდგენილი რისკ-ფაქტორები და მათი ეფექტები ეფუძნებოდეს შესაბამის რაოდენობრივ ინდიკატორებს, რაც შესაძლებელს გახდის მოცემული შოკების რეალიზაციის შეფასებასა და ანალიზს“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში, სახელმწიფო აუდიტორების დასკვნის მიხედვით, ბიუჯეტში ასახული განახლებული მონაცემებით, 2022 წელს, ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებელი უახლოვდება ორგანული კანონით დადგენილ 3%-იან ზღვარს და ლიმიტის ფარგლებში 2023 წელს ბრუნდება. კერძოდ, დეფიციტის პროგნოზი 2022 წლისთვის 3.1%-ს ანუ 2.2 მილიარდ ლარს შეადგენს.

გარდა ამისა, დადებითი ტენდენცია აქვს ვალის წესის მიზნისთვის დათვლილ მაჩვენებელსაც, რომელიც 51.7%-დან 40.1%-მდე მცირდება და კანონმდებლობით დადგენილი 60%-იანი ნიშნულის ფარგლებშია მოქცეული:

„ვალის წესის საპროგნოზო მაჩვენებელი არ ითვალისწინებს იმ სახელმწიფო საწარმოების ვალს, რომლებიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) რეკომენდაციით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ დააკლასიფიცირა, როგორც სამთავრობო სექტორი – ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ის 40.4%-მდე იზრდება. მთავრობის ვალის 75% საგარეო ვალია. ასევე, „საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტებიდან“ (PPP პროექტები) მომდინარე ვალდებულებებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, ვალის წესის მაჩვენებელი განსაკუთრებით მოწყვლადია ლარის გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ“.

დასასრული მე-8 გვერდზე

რა ცვლილებები შევიდა 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში

მე-7 გვერდიდან

2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებთან დაკავშირებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნაში აღსანიშნავია შემდეგი საკითხები:

„ეკონომიკური ზრდის განახლებული პროგნოზის გათვალისწინებით, 1 მილიარდი ლარით – 7.8%-ით იზრდება საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი და 14.5 მილიარდ ლარს შეადგენს; რენტიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი მცირდება 50 მილიონი ლარით – 66.7%-ით და 25 მილიონ ლარს უტოლდება. ცვლილების მასშტაბიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, კანონპროექტი მოიცავდეს დამატებით ინფორმაციას მისი შემცირების მიზეზების შესახებ; პროცენტის საპროგნოზო მაჩვენებელი იზრდება 20 მილიონი ლარით – 11.1%-ით და 200 მილიონი ლარის დონეზეა განსაზღვრული.

რვა თვის მდგომარეობით, პროცენტის სახით ბიუჯეტში მობილიზებულმა თანხამ 171 მილიონი ლარი შეადგინა, რაც განახლებული გეგმის 86%-ია. მოცემული ტენდენციის გათვალისწინებით, კანონპროექტით წარმოდგენილი პროგნოზი შედარებით კონსერვატულია; სანქციების – ჯარიმებისა და საურავების კომპონენტის საპროგნოზო მაჩვენებელი უცვლელადაა შენარჩუნებული 110 მილიონი ლარის დონეზე. მობილიზების არსებული ტენდენციისა და მიმდინარე წლის სექტემბერში, პარლამენტის მიერ „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებების (საგზაო მოძრაობის წესების დარღვევაზე ჯარიმების გამკაცრება) გათვალისწინებით, აღნიშნული მუხლის საპროგნოზო მაჩვენებელი შედარებით კონსერვატულია“.

სახელმწიფო აუდიტის დასკვნაში აღნიშნულია, რომ ბიუჯეტის გადასახდელების ნაწილში, იზრდება 22 პროგრამის დაფინანსების მოცულობა, ჯამურად 752 მილიონი ლარის, ხოლო რვა პროგრამის დაფინანსება მცირდება – ჯამურად 80 მილიონი ლარის ოდენობით. საყურადღებოა, რომ პროგრამული ბიუჯეტის დანართში ყველა იმ პროგრამის/ქვეპროგრამის მიზნობრივი მაჩვენებელი არ შეცვლილა, რომელთა დაფინანსებაც შეიცვალა.

„მიზნობრივი მაჩვენებლები არ განახლებულა იმ პროგრამების 78%-ში – 13 პროგრამა, რომელთა ასიგნებების მოცულობა 10%-ით და მეტით იცვლება. მიზანშეწონილია, რომ პროექტში წარმოდგენილი ფინანსური ცვლილებების შესაბამისად, მხარჯავი უწყებების მიერ, სრულად განხორციელდეს პროგრამული ბიუჯეტის ნაწილში მიზნობრივი მაჩვენებლების კორექტირება. საყურადღებოა, რომ კანონპროექტის ფარგლებში, კაპიტალური პროექტების დანართი არ განახლებულა. შესაბამისად, პროექტების დონეზე ვერ ხერხდება იმის იდენტიფიცირება, თუ რა მასშტაბის ცვლილებები განიცადა კაპიტალურმა პროექტებმა. გარდა ამისა, სსიპ-ებისა და ააიპ-ების ბიუჯეტების შესახებ ინფორმაცია არ განახლებულა, რაც ართულებს ცვლილების გავლენის დადგენას საბიუჯეტო ორგანიზაციებზე“.

რაც შეეხება სახელმწიფო ვალს, 2022 წლის ბოლოსთვის, სახელმწიფო ვალის მოცულობა არსებულ გეგმასთან შედარებით, 4.7 მილიარდი ლარით მცირდება და 29.8 მილიარდ ლარს უტოლდება. შემცირებაში ეროვნული ვალუტის გამყარების ეფექტი 87%-ს შეადგენს – 4.1 მილიარდი ლარი, ხოლო ვალის არსებული ნაშთის შემცირების ეფექტი 13% ანუ 602 მილიონი ლარია. საყურადღებოა, რომ 2022 წელს, საგარეო საკრედიტო რესურსით დაფინანსებულ 16 საინვესტიციო პროექტს უმცირდება დაფინანსება, ჯამურად – 328.6 მილიონი ლარის ოდენობით, ორ საინვესტიციო პროექტს კი ეზრდება, ჯამურად – 18.1 მილიონი ლარით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსმა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მდივნის მოადგილეს უმასპინძლა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსი, გენერალ-მაიორი ნიკოლოზ შარაძე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მდივნის მოადგილეს შეიარაღებაზე კონტროლისა და საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში, ბონი დენის ჯენკინსს შეხვდა. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის საქმიანობისა და შესაძლებლობების გაცნობა, აგრეთვე, სამომავლო თანამშრომლობის საკითხების განხილვა.

ნიკოლოზ შარაძემ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მდივნის მოადგილეს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის პრიორიტეტული მიმართულებები, არსებული შესაძლებლობები და მიმდინარე რეფორმები გააცნო. შეხვედრაზე მხარეებმა სასაზღვრო პოლიციის მიმართულებით ერთობლივი პროექტები და სამომავლო თანამშრომლობის გეგმები განიხილეს.

სასაზღვრო პოლიციის 25 თანამშრომელს ამერიკელმა ინსტრუქტორებმა სწავლება ჩაუტარეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სწრაფი რეაგირების მთავარი სამმართველოს 15 თანამშრომელსა და სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის 10 მესაზღვრეს, სასაზღვრო სექტორ „ჩირუხის“ ტერიტორიაზე სპეციალური სწავლება ჩაუტარდათ.

სწავლების ძირითად მიზანს წარმოადგენდა მონაწილეებისთვის ჯგუფური მუშაობისა და ურთიერთთავსებადობისთვის უნარ-ჩვევების განმტკიცება.

სასწავლო კურსი მოიცავდა, როგორც თეორიულ, ასევე, პრაქტიკულ საველე ნაწილს. სწავლების ფარგლებში, მონაწილეები დეტალურად გაეცნენ ოპერაციის დაგეგმვის მეთოდებს, პატრულირებისა და ჩასაფრების მოწყობის გზებს და სხვადასხვა იარაღით სროლის სპეციფიკას. ასევე ყურადღება გამახვილდა პირველადი სამედიცინო დახმარების საკითხებზე. სასწავლო კურსის დასასრულს, მონაწილეებს შესაბამისი სერტიფიკატები გადაეცათ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კამპანია – „ემეგობრე პოლიციას“ გრძელდება

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-შემეცნებითი კამპანია – „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, საზოგადოებრივი ღონისძიება ამჯერად რუსთავში, ცენტრალურ მოედანზე გაიმართა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე დარახველიძე, სხვადასხვა დანაყოფის ხელმძღვანელი პირები, ქვემო ქართლის სახელმწიფო რწმუნებული და ქალაქ რუსთავის მერი.

კამპანიის – „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, რუსთავში სხვადასხვა შემეცნებითი და გასართობი აქტივობა ჩატარდა. ღონისძიებაზე მისულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, გასცნობოდნენ საპატრულო პოლიციის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის, მომსახურების სააგენტოს, საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის, სასაზღვრო პოლიციის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, დაცვის პოლიციის და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის საქმიანობას, ასევე, დაეთვალიერებინათ აღნიშნული დანაყოფების სპეცტექნიკა და აღჭურვილობა.

მოზარდები და ბავშვები სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობდნენ სხვადასხვა შემეცნებით და გასართობ აქტივობაში.

აღსანიშნავია, რომ სახალხო ღონისძიებების პარალელურად, უკვე დაიწყო პროექტი, რომლის ფარგლებშიც შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების, კერძოდ, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, მომსახურების სააგენტოსა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის წარმომადგენლები სკოლებში მართავენ შეხვედრებს, რომელთა მიზანია ბავშვებსა და მოზარდებში საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები საინფორმაციო-შემეცნებით შეხვედრებზე მოსწავლეებს ინფორმაციას აწვდიან მართლწესრიგის შესახებ მათთვის საჭირო და აქტუალურ თემებზე.

კამპანია – „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, საზოგადოებრივი ღონისძიებები და შეხვედრები სკოლებში ბათუმსა და ზუგდიდში უკვე გაიმართა.

სამართალი

№40 12 ოქტომბერი 2022 წ

ყველაფერი მკვლელ ნარკოტიკზე

როგორ შემოდის საქართველოში და რატომ იწვევს სიკვდილს „ფენტანილი“

ბათო ჯაფარიძე

2018 წლის აპრილის მიწურულსა და მაისის დასაწყისში, ათდღიანი ინტერვალით, ოთხი ახალგაზრდა დაიღუპა. გარდაცვალებებს საერთო ის ჰქონდათ, რომ ოთხივე ღამის კლუბიდან დაბრუნდა და გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ისინი ღამის კლუბში მიღებული ნარკოტიკების ინტოქსიკაციის შედეგად გარდაიცვალენ. მაშინ ითქვა, რომ გარდაცვალების მიზეზი „მეფედრონი“ იყო, სინთეტიკური ნარკოტიკი, რომელიც ბაზარზე, ერთი შეხედვით, ახალი ხილი გახლდათ და მომხმარებლები დოზებს ვერ ანგარიშობდნენ. იმის მიუხედავად, რომ მაშინ არაერთი აქცია გაიმართა, საქმეში სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია ჩაერთო, მაგრამ ხმამაღლა ვერავინ თქვა, კონკრეტულად რომელ ნარკოტიკს ემსხვერპლა ოთხი ახალგაზრდის სიცოცხლე. კულუარებში ჩუმად და შიშით თქვეს – „ფენტანილი“. რეალურად, სახელი ბევრს ჰქონდა გაგონილი, მაგრამ რა იყო „ფენტანილი“, წარმოდგენა ძნელი გახლდათ, რადგან მასზე ლეგენდები დადიოდა და გამოცდილი ნარკომანებიც კი ამ პრეპარატზე ჩურჩულით საუბრობდნენ.

დავიწყოთ იმით, რომ „ფენტანილი“ სინთეტიკური ნარკოტიკი და „ჰეროინზე“ ასჯერ (!!!) უფრო ძლიერია, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ მისი მოხმარება არ იცი, უბრალოდ, მოგკლავს. 2018 წლიდან, მიმდინარე წლის აგვისტოს ჩათვლით, ნარკოტესტზე შემოწმებულ ათეულობით ათასი ადამიანიდან, „ფენტანილი“ ორგანიზმში ერთეულებს აღმოაჩნდათ, ისიც მცირე დოზით ანუ ეს ნარკოტიკი რაღაცაში იყო შერეული ეფექტის გასაძლიერებლად. ბოლო ორ კვირაში ჩატარებული კვლევებიდან კი... „ფენტანილი“ აღმოჩნდა უკლებლივ ყველა ტესტში, ვისაც კი ნარკოტიკული თრობა დაუდასტურდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 2018 წლის შემდეგ, ასეთი ოდენობის „ფენტანილი“ საქართველოში პირველად გამოჩნდა და გამოდის, ნარკორეალიზატორებმა ახალი „კანალი“ გაჭრეს.

მეტიც, ჩვენი ინფორმაციით (ეს ინფორმაცია არაოფიციალურად დაგვიდასტურეს), „ფენტანილის“ მიღების გამო, უკვე რამდენიმე ახალგაზრდა გარდაიცვალა და სამართალდამცავები თითოეულ შემთხვევას ცალ-ცალკე იკვლევენ.

და მაინც, რა არის „ფენტანილი“, პრეპარატი, რომელიც ასეთი საშიშია?!

ფენტანილი ძალიან ძლიერი სინთეტიკური ოპიოიდური ანალგეტიკია, რომელიც თავისი მოქმედებით, თითქოს, მორფინს ჰგავს, მაგრამ მასზე 100-ჯერ უფრო ძლიერია. ასე განსაჯეთ, „ფენტანილი“ დაშვებულია სამედიცინო პრაქტიკაში იმ პაციენტებისთვის, რომლებსაც ქრონიკული ტკივილები აქვთ და სხვა პრეპარატი (იგივე, „მორფი“) ტკივილს ვერ უყურჩებს. პრეპარატი იმდენად ძლიერია, რომ ექიმის მიერ, „ფენტანილი“ ინიშნება მცირე ინექციის, ან კანზე დასაკრავი პლასტირის სახით. ზედოზირება ექიმის მიერ დანიშნული ინექციის შემთხვევაში გამორიხულია, რადგან მზადების პერიოდში, ის მუშავდება ლაბორატორიულად და პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და წონის შესაბამისად კეთდება.

ღამის კლუბსა თუ, უბრალოდ, „ბირჟაზე“ ამას რომ არავინ გააკეთებს, ადვილი მისახვედრია.

არაფარმაცევტული „ფენტანილი“ ფხვნილის სახით, „ჰეროინთან“ ან სხვა ნივთიერებებთან შერეული იყიდება (მაგალითად, შაქართან – თუ შესაყნოსია და მარილთან – თუ გასაკეთებელი). იყიდება აბების სახითაც, მაგრამ... ოპიოიდის რეცეპტორები ტვინის იმ ადგილებშია, რომლებიც სუნთქვის სიხშირის რეგულირებაზე არიან პასუხისმგებელნი. ოპიოიდის დიდი დოზით მიღებამ, შესაძლოა, სუნთქვის გაჩერება და უეცარი სიკვდილი გამოიწვიოს, რაც „ფენტანილის“ შემთხვევაში, პრაქტიკულად, გარანტირებულია, რადგან ეს პრეპარატი ერთ-ერთი დიდი ოპიოიდია. ხშირად, ნარკორეალიზატორები მომხმარებელს არც ეუბნებიან, რომ გაყიდული ფხვნილი „ფენტანილს“ შეიცავს და სიფრთხილეა საჭირო.

არა მარტო მომხმარებლები, არამედ, ის არასამთავრობოები, რომლებიც ნარკოტიკების პრობლემაზე მუშაობენ, არ მალავენ, რომ ბაზარზე, „ფენტანილის“ ამ დოზით გამოჩენა ძალიან სახიფათოა და არსებობს უდიდესი შესაძლებლობა, უკვე მიმდინარე თვეში, ფატალური შემთხვევების ოდენობამ რამდენიმე ათეულს გადააჭარბოს. ყველა თანხმდება, რომ „ფენტანილი“ უცხოეთიდან შემოდის და აბების სახით იყიდება. მას ნარკოდილერები ყიდულობენ და მსუბუქ ნარკოტიკში ურევენ, შემდეგ კი, როგორც „ჰეროინზე“ კარგ ნარკოტიკად ყიდიან. საინტერესოა, რომ ამ ნარკოტიკის მიღების შემდეგ, ერთ-ერთი მთავარი სიმპტომი ძილიანობაა და დაძინების შემთხვევაში, 100-დან 99 შემთხვევა ფატალურად სრულდება.

ჩვენი ინფორმაციით, კონკრეტულად ამ მიმართულებით, შს სამინისტროში, ფარტომასშტაბიანი ძიება მიმდინარეობს და ეჭვი გვაქვს, შორს არაა ის დრო, როცა ძალოვნები სპეცოპერაციას რამდენიმე რეგიონსა და ქალაქში ერთად ჩაატარებენ. ჰო, სწორედ რამდენიმე, რადგან „ფენტანილი“ არა მარტო თბილისშია ხელმისაწვდომი.

სამწუხაროდ, ნარკოტიკებისადმი ლოიალურმა დამოკიდებულებამ მიგვიყვანა იქამდე, რომ „მარიხუანას“ მოხმარება უკვე აღარავის უკვირს.

შესაძლოა, მთელმა კორპუსმა კი არა, უბანმაც კი იცოდეს, როგორ და სად ეწევიან „მარიხუანას“ ბიჭები და რაც მთავარია, ყველაფერი ეს, ძალიან დიდი ალბათობით, იციან სამართალდამცავებმაც, მაგრამ აუტკივარ თავს არ იტკიებენ, ისედაც ბევრი საქმე აქვთ და ზუსტად უწყიან, დაკავების შემთხვევაში, ბიჭები ჯარიმით მარტივად გადარჩებიან. სწორედ ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ, შეეჩვია ხალხი იმას, რომ ნარკოტიკების მოხმარება („მარიხუანა“ ნარკოტიკია) ჩვეულებრივი ამბავი გახდა, რაც არც დასაძრახია და აღარც კრიმინალთან იგივდება.

შევეჩვიეთ „წამალში გაპარული“ ახალგაზრდების დამარხვასაც, გასვენებაში თავის ქნევასაც და იმის ძახილსაც – „არ შეეშვა და დაიღუპა თავი“.

რეალურად, სახელმწიფოს ერთ-ერთი დიდი პრობლემა წამალდამოკიდებულთა და, ზოგადად, ნარკოტიკების მომხმარებელთა სიმრავლეა. რამდენიც უნდა „დასვან“ „მეტადონის“ პროგრამაზე, ეს საქმეს ვერ შველის და „მეტადონით“ არავინ იკურნება. ყოველ შემთხვევაში, ზოგი 5-7 წელი იღებს მეტადონს და ეს არ ნიშნავს, რომ იკურნება. არ არის ისეთი გამართული სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელიც ასობით, ათასობით ნარკოდამოკიდებულს მიიღებს და უმკურნალებს. რაც მთავარია, ეს მკურნალობა უზარმაზარ თანხებთანაა დაკავშირებული და ამ ეტაპზე, სახელმწიფო აღნიშნულ ხარჯებს თავზე არ და ვერ აიღებს. სავარაუდოდ, გამოსავალი ისევ კანონის გამკაცრებაა, ხომ ვნახეთ, რომ ექსპერიმენტმა, სახელად – „მარიხუანას მოწევა პრობლემა არაა“ – არ გაამართლა და სწორედ ამ კანონის მიღების შემდეგ გაიზარდა ნარკოდამოკიდებულთა რიცხვი.

ისიც კარგად გვახსოვს, პარლამენტის არაერთი წევრი რომ ამბობდა, მივიღებთ ნარკოლიბერალიზაციის კანონს და თუ არ გაამართლებს, ისევ გავამკაცრებთ, ჩვენს ხელში არ არისო?!

ჰოდა, ბატონებო, თქვენს ხელში თუ არის, გადახედეთ სტატისტიკას, რაც მთავარია, გადახედეთ ფატალურ შემთხვევებს და გადახედეთ იმ წვრილი თუ მსხვილი დანაშაულის ოდენობის ზრდას, რომელიც ნარკოტიკის შესაძენი ფულის არქონის გამო იქნა ჩადენილი.

თუ გახსოვთ, „კრაკადილი“ რომ შემოვიდა, რამდენი ადამიანი შეეწირა ამ მკვლელ ნარკოტიკს? „კრაკადილის“ დამზადება (ისევე, როგორც „ვინტის“) ახლაც შეიძლება, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ნარკომანებმა კარგად იციან, ერთიცა და მეორეც, საიქიოში ცალი ფეხის გადადგმის ტოლფასია და ამიტომ, მათ მიღებას ერიდებიან. ზუსტად ასე იქნებოდა „ფენტანილის“ შემთხვევაშიც, რადგან განსაკუთრებით გამოცდილმა მომხმარებლებმა ზუსტად იციან, აღნიშნული პრეპარატი რაც არის და ამიტომ, მისი მიღებისგან თავს იკავებენ. თუმცა, მთელი უბედურება ის არის, რომ დაფხვნილ მდგომარეობაში და სხვა ნაკლებად მსუბუქ ნარკოტიკთან შერევის შემთხვევაში, „ფენტანილი“ არ იცნობა არც ფერზე, არც სუნზე და როგორც დანარჩენი ნარკოტიკი, ისე მიიღება. მიახლოებით მაინც ხომ ხვდებით, რა ძლიერ ტკივილგამაყუჩებელთან გვაქვს საქმე, როცა ტკივილს ვერ აჩერებენ „მორფის“ ინექციით, „ფენტანილის“ პლასტირიც კი შველის, არათუ ინექცია.

დასასრულ, ისიც გავიხსენოთ, რომ როცა პარლამენტმა „მარიხუანას“ მოხმარებას მწვანე შუქი აუნთო, ისიც ითქვა, რომ მძღოლებს გააკონტროლებდნენ და სპეციალურ ალკოტესტს შეიძენდნენ, რომელსაც რეაგირება კონკრეტულად „მარიხუანას“ მოხმარებაზე ექნებოდა. სამწუხაროდ, არავის არაფერი შეუძენია (ამის შესახებ საუბარიც აღარ არის) და თუ კანონმდებლები, პერიოდულად, იმ სტატისტიკასაც გადახედავენ, სადაც ჩამოწერილია ალკოჰოლური თრობისა თუ ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ, რამდენი ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, ეგებ, რაღაცებს სხვა თვალით შეხედონ და კანონის სერიოზულად გამკაცრებაზე იფიქრონ.

თბილისური კრიმინალი ინდური ფილმის სცენარით

რა ნათესაური კავშირი ჰქონდა ახალგაზრდა მამაკაცს 80 წლის ქალთან, რომელიც საძილე საშუალებებით მოკლა

ბათო ჯაფარიძე

ანდერძი და მემკვიდრეობა – ეს ორი ცნება დღეს უკვე ყველამ იცის, თორემ ადრე, ამის შესახებ ხმამაღლა არავინ საუბრობდა. თითქოს, წესი იყო, ოჯახში რჩებოდა უმცროსი შვილი, გოგოს, ძირითადად, არაფერი ხვდებოდა და ის ქმრის ოჯახის წევრი იყო, მამა ცდილობდა, თუ ორი ბიჭი ჰყავდა, მეორესაც შეხვედროდა რამე და ა.შ. მერე და მერე, კარგად გავითავისეთ, რომ „ლეკვი ლომისა სწორია“, თურმე, შოთას ტყუილად არ დაუწერია და საბედნიეროდ, ბიჭის ძებნაში, გოგონებზე აბორტების კეთების რიცხვმაც იკლო. რადგან აბორტი ვახსენეთ, ისიც ვთქვათ, რომ 10 ოქტომბერს, პარლამენტს წარედგინა კანონი და სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილება აუცილებლად შევა, რომლითაც თანხმობის გარეშე აბორტი დანაშაულად ცხადდება. პროექტის მიხედვით, ორსულობის შეწყვეტა მსხვერპლის წინასწარი ინფორმირებული თანხმობის გარეშე, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით, ოთხიდან რვა წლამდე ვადით. იმ შემთხვევაში, თუ ეს ქმედება გამოიწვევს სიცოცხლის მოსპობას, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით, ხუთიდან ცხრა წლამდე ვადით. პროექტის მიხედვით, ქმედება დაისჯება თავისუფლების აღკვეთით, ცხრიდან ცამეტ წლამდე, თუ ჩადენილი იქნება: დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ; ორი ან ორზე მეტი პირის მიმართ; ოჯახის წევრის მიმართ. ასევე, ჯგუფურად; გენდერის ნიშნით; რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო; განსაკუთრებული სისასტიკით; არაერთგზის; ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას; სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით; მსხვერპლის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით; ანგარებით ან შეკვეთით; ხულიგნური ქვენა გრძნობით; ცვლილებების მიხედვით, თუ ეს ქმედება გამოიწვევს სიცოცხლის მოსპობას ან სხვა მძიმე შედეგს, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით, ათიდან თოთხმეტ წლამდე ვადით.

თუ იგივე ქმედება ჩადენილი იქნება დაზარალებულის ან სხვა პირის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით, რამაც გამოიწვია დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობა, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით, თხუთმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით, იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვით ან უამისოდ. პროექტის მიხედვით, აბორტის იძულება გამოიყოფა სპეციალურ შემადგენლობად და უფრო მკაცრი სასჯელი იქნება გათვალისწინებული. ორსულობის შეწყვეტის იძულება, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით, ორიდან ექვს წლამდე ვადით. თუ იგივე ქმედება ჩადენილი იქნება: ჯგუფურად; დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ; არაერთგზის; იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 133-ე, 133/1 და 133/3 მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული; ოჯახის წევრის მიმართ; გენდერის ნიშნით, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით, სამიდან შვიდ წლამდე ვადით.

ისტორია, რომელსაც ახლა გიამბობთ, წესითა და რიგით, ინდური ფილმივით უნდა დასრულებულიყო, ბედნიერი ღიმილითა და ცრემლით, მაგრამ...

90-იანი წლების გარიჟრაჟზე, მაშინ, როცა პრაქტიკულად, ყველას გაუჭირდა, გახშირდა შემთხვევები, როცა მოხუცებს სხვა ოჯახები უვლიდნენ, მისი გარდაცვალების შემდეგ კი ბინა რჩებოდათ. სწორედ ასეთი მოხუცი გარდაიცვალა თბილისის ერთ-ერთ უბანში და სამართალდამცავებს მისმა მომვლელმა გამოუძახა. საქმე ის გახლდათ, რომ შედგენილი ანდერძის თანახმად, გარდაცვალების შემდეგ, სხეული აუცილებლად უნდა გაეკვეთათ და თუ ექსპერტიზა ბუნებრივ სიკვდილს დააფიქსირებდა, სამოთახიანი ბინა მომვლელს რჩებოდა, ხოლო თუ სიკვდილი ბუნებრივი არ იყო, ბინა... სახელმწიფოს გადაეცემოდა. ახლა, მომვლელი ქალი, რომელიც გარდაცვლილის მეზობელი იყო, ხმამაღლა ლოცულობდა, ღმერთო, ბუნებრივი სიკვდილით იყოს მკვდარიო. ძალოვნებს ეჭვი არაფერში შეპარვიათ, ქალს ძალადობის ნიშნები არ ეტყობოდა, თუმცა ექსპერტიზაზე მაინც წაიღეს და გაკვეთის შედეგს დაელოდნენ. გაკვეთამ აჩვენა, რომ მოხუცი... საძილე საშუალების დიდი დოზის მიღების შედეგად იყო გარდაცვლილი. საძილე აბებს კი სწორედ მომვლელი აძლევდა. სანამ ამბის თხრობას გავაგრძელებთ, ისიც ვთქვათ, ვინ იყვნენ ერთმანეთისთვის მომვლელი და გარდაცვლილი.

როგორც მეზობლები ამბობდნენ, გარდაცვლილი ამ ბინაში მეუღლესთან, გემის კაპიტანთან ერთად ცხოვრობდა. ერთ დღეს კი ცნობა მოვიდა, რომ გემის კაპიტანი გარდაიცვალა, ზღვაში დაიხრჩო. ქალს ქმრის მეგობრები აქცევდნენ ყურადღებას, შემდეგ კი ყველას გაუჭირდა და მანაც გამოსავალი მოძებნა – მომვლელი აიყვანა, რომელიც მისივე მეზობელი, 60 წელს მიტანებული ქალი იყო. რაც შეეხება მომვლელს, თავიდან, იმ ბინაში მისი შვილი ცხოვრობდა, რომელიც შემდეგ დაორსულდა, შემდეგ სხვაგან წავიდა, ბოლოს კი ბებია და შვილიშვილი დაბრუნდნენ და თქვეს, რომ დედა გარდაიცვალა. შვილიშვილი ჭკვიანი ბიჭი იყო, გარდა იმისა, რომ წარჩინებული სტუდენტი გახლდათ, მეგობრებთან ერთად, მცირე საწარმოც ჰქონდა, რკინის რიკულებს აკეთებდა, სავაჭრო ჯიხურიც ედგა და ბედს არ უჩიოდა. შესაბამისად, ბებიას უფლება მისცა, მეზობელი ქალისთვის მოევლო, წამლებსაც ყიდულობდა და არც საკვებს აკლებდა. მეზობლებმა ისიც თქვეს, დაახლოებით, ორი თვის წინ, გარდაცვლილთან გემის კაპიტნის ფორმაში ჩაცმული მამაკაცი იყო მოსული და მასთან სამი დღე დარჩაო. ეს არც მომვლელმა უარყო და აღნიშნა, ქალმა მამაკაცი ქმრის მეგობრად გაგვაცნო და მათ შორის რაიმე სასიყვარულო ურთიერთობაზე საუბარიც კი სისულელეა, გარდაცვლილი 80-ს მიტანებული იყო და ის კაპიტანიც 70 წელზე ნაკლების არ იქნებოდაო.

ყოველნაირი ლოგიკით, გამოძიებას მომვლელის მონაწილეობა მკვლელობაში უნდა გამოერიცხა, რადგან ქალმა ზუსტად იცოდა, რომ ყველა ვარიანტში, გარდაცვლილს ექსპერტიზას დაუნიშნავდნენ, ეს ეწერა მის ანდერძში, ეს იცოდა მისმა ადვოკატმა, რომელსაც თავის დროზე გარდაცვლილმა სოლიდური თანხა გადაუხადა. მოკლედ, როგორც კი არაბუნებრივი სიკვდილი დაფიქსირდებოდა, მომვლელი ბინას დაკარგავდა და ამდენი წლის ხარჯი წყალში ჩაეყრებოდა. ამიტომ, გამომძიებლებმა ისეთ ნათესავებს დაუწყეს ძებნა, რომლებსაც ბინის ხელში ჩაგდების იმედი უნდა ჰქონოდათ. იმის მიუხედავად, რომ მაშინ ბინებიც იაფი ღირდა, თბილისში, სამოთახიანს ფასი მაინც ედო და იმ დროისთვის არცთუ მცირე. ასეთი ნათესავი ვერ ნახეს და ახლა სამეზობლოს შესწავლა დაიწყეს, თუმცა ამ შემთხვევაშიც უშედეგოდ. არცერთ მეზობელს არანაირი ინტერესი არ ჰქონდა, მოეკლა ქალი, რომელიც ბოლო სამი წლის განმავლობაში, ბინიდან არც კი გამოდიოდა და არავის ეკონტაქტებოდა. ის კარსაც კი არავის უღებდა, მომვლელს სახლის გასაღები ჰქონდა და თავად შედიოდა საჭირო დროს, ულაგებდა, ურეცხავდა, აჭმევდა, ასმევდა... თავად ფაქტი, რომ გარდაცვლილი კარს არავის უღებდა, საინტერესო იყო. საკეტს ძალადობის კვალი არ ეტყობოდა ანუ ვიღაცამ კარი გააღო, შევიდა, საძილე წამალი ზომაზე მეტი დაალევინა და კარი ისევ გასაღებით დაკეტა. გასაღები კი მხოლოდ მომვლელს ჰქონდა და მისი გამოყენება შვილიშვილსაც შეეძლო.

ძიებით დადგინდა, რომ ანდერძის შესახებ შვილიშვილმაც იცოდა და შესაბამისად, მოხუცის მკვლელობა არც მას აწყობდა. გადაწყდა, როგორმე, ის კაცი მოეძებნათ, რომელიც მოხუცს ბოლოს სტუმრობდა და ამის გაკეთება ძალიან იოლი აღმოჩნდა – მომვლელს გარდაცვლილის საოჯახო ალბომი დაათვალიერებინეს, სადაც მისი ქმრის სურათებიც იყო მეგობრებთან ერთად გადაღებული და ქალმაც ერთ-ერთს ხელი დაადო, სწორედ ეს კაცი გახლდათ სტუმრადო. კაპიტანი მალე იპოვეს.

„ქალი მოკლეს? კი, მაგრამ, რატომ? მისი ქმარი ჩემი უახლოესი მეგობარი იყო. გარდაცვალებამდე, გორბაჩოვის „პერესტროიკის“ დროს, რამდენიმე დიდ ქარხანაში აქციები დაარიგეს, მოსახლეობას ეუბნებოდნენ, ქარხანა თქვენია, მეწილეები ხართო და შემდეგ ეს ქარხნები, ერთი-მეორის მიყოლებით, იხურებოდა. ამ ხალხს აქციები გემებთან მოჰქოდათ, პროდუქტზე სურდათ გადაცვლა. არავინ უცვლიდა ჩემი მეგობრის გარდა, ის სულ ამბობდა, მოვა დრო და ეს აქციები მილიონები ეღირებაო. მერე ის გარდაიცვალა, აქციები მე შემრჩა, თუმცა მის სახელზე. ახლა კი, ერთ-ერთი ქარხნის შეძენა სურთ, აქციებით დაინტერესდნენ და მე მომადგნენ, მე კიდევ, რა უფლება მქონდა, გამეყიდა? საბუთებით, ეს ქონება ჩემი მეგობრის იყო, მისი მემკვიდრე კი ცოლი გახლდათ. ამიტომ, აქციები მას ჩავუტანე და ვუთხარი, რომ დიდი ფულის შოვნა შეეძლო. შემდეგ წამოვედი, ერთადერთი, რაც ვიცი, ადვოკატს დაურეკა ჩემი თანდასწრებით და უთხრა, სასწრაფოდ მნახე, ანდერძის შეცვლა მსურსო“, – განაცხადა კაპიტანმა.

ეს რაღაც ახალი იყო – ადვოკატს არ უხსენებია, რომ ქალს ანდერძის შეცვლა სურდა. ამიტომ, ის სასწრაფოდ დაკითხვაზე დაიბარეს. როგორც კი ადვოკატი მიხვდა, რომ შესაძლებელი იყო, მკვლელობა მისთვის შეეტენათ, პირი დააღო.

„მომვლელ ქალთან მოლაპარაკებული ვიყავი. თუ მოხუცი ანდერძის შეცვლას დააპირებდა, მისთვის უნდა მეცნობებინა. როგორც კი მოხუცმა დამირეკა, მის შვილიშვილს ვუთხარი, მაგრამ წარმოდგენა არ მქონდა, თუ მოკლავდნენ“, – განაცხადა ადვოკატმა.

სამართალდამცავებმა მომვლელი ქალი და მისი შვილიშვილი დააკავეს.

„მე იმ კაპიტნის შვილი ვარ და ეს მოხუცმაც იცოდა. ბებიას წარმოდგენა არ ჰქონდა ამ ყველაფერზე. როცა დედა დაორსულდა, გარდაცვლილმა გაიგო და აიძულებდა, აბორტი გაეკეთებინა, რამდენჯერმე, ნაცნობ ექიმთანაც ჰყავდა, მაგრამ დედა გამოიქცა. ბოლოს აქედან საერთოდ წავიდა და სოფელში დასახლდა, იქ გამაჩინა, მაგრამ თავად გარდაიცვალა. ექიმები ამბობდნენ, აბორტის გაკეთების მცდელობა ჰქონდა, მაშინ დაუზიანდა რაღაც და მშობიარობის შემდეგ, ის რაღაც გაურთულდაო. აქ როცა დავბრუნდით, ქალი კი მიხვდა, რომ მისი ქმრის შვილი ვიყავი, მაგრამ ხმა აღარ ამოუღია. სანამ კაპიტანი ცოცხალი იყო, მეუბნებოდა, მე აქციები მაქვს, ადრე თუ გვიან, მილიონერი გახდებიო. ეს ბინა არც მაინტერესებდა, ის აქციები მაინტერესებდა. როცა კაპიტანი გამოჩნდა, ჩემი თვალით ვნახე, როგორ გადასცა მოხუცს აქციები, როგორც ერთადერთ მემკვიდრეს. მერე ადვოკატმა დარეკა და დავრწმუნდი, რომ საქმე სწორედ აქციებს შეეხებოდა, ამიტომ დასაძინებელი წამლის დოზა გავზარდე, ბინას ვკარგავდი, მაგრამ, როგორც ერთადერთ მემკვიდრეს, აქციები მრჩებოდა“, – ეს განცხადება ბიჭმა მას შემდეგ გააკეთა, რაც მისი ქურთუკის ჯიბეში ექსპერტებმა დასაძინებელი წამლის ნაწილაკები იპოვეს. არადა, წესით, მას აბებთან შეხება არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ მერე გაირკვა, რომ დამარტებითი აბების წყალში გარევის დროს, ფრჩხილში წამლის მტვერი დარჩა და შემდეგ – ჯიბეშიც...

ამ ამბავში ყველაზე საინტერესო ბოლოს მოხდა. გარდაცვლილის დასაფლავებაზე მისულმა მისმა მეგობარმა, რომელსაც მხოლოდ ტელეფონით ეკონტაქტებოდა, ტირილით თქვა, რომ მოხუცი ანდერძში ცვლილების შეტანას მართლა აპირებდა და აქციებს, რომელიც მას ჩამოუტანეს, მთლიანად მისი ქმრის უკანონო შვილს უტოვებდა.

ბათო ჯაფარიძე

შესაძლოა, ახალგაზრდებს არ ახსოვთ, მაგრამ საქართველოში იყო პერიოდი (განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოში), როცა ქალაქები ერთმანეთს იმაში ეჯიბრებოდნენ, ვის უფრო მეტი „კანონიერი ქურდი“ ჰყავდა. ამ მხრივ, პირველობას არავის უთმობდა ქუთაისი. მეორე ადგილისთვის კი ხონი, სამტრედია, წყალტუბო, ჭიათურა „იბრძოდნენ“. ამიტომ, სამართალდამცავებისთვის ეს მიმართულება ყოველწლიურად უფრო და უფრო საინტერესო ხდებოდა. დანაშაულები, რომლებიც „კანონიერი ქურდების“ მატებასთან ერთად მრავლდებოდა, ძნელი გასახსნელი არ იყო, თუმცა ხდებოდა ისეთებიც, რომლებიც მხოლოდ ადგილობრივი ძალებით ვერ იხსნებოდა.

სასაფლაოზე დამალული ბრილიანტები და ორმაგი მკვლელობა

როგორ გავიდა გამოძიება დამნაშავის კვალზე

„მინისტრის მოადგილემ დამირეკა და მითხრა, რომ სასწრაფოდ დასავლეთ საქართველოში უნდა წავსულიყავი. ერთი შეხედვით, საქმე მარტივი იყო, სასაფლაოზე, დირექტორის მოადგილისა და ვიღაც მათხოვრის გვამები ნახეს, მაგრამ როცა მათხოვარი ექსპერტიზაზე გააშიშვლეს, მის სხეულზე „კანონიერი ქურდისთვის“ დამახასიათებელი სვირინგები იყო აღბეჭდილი. სწორედ ამიტომ, საქმეს საიდუმლო გრიფი დაედო (სასაფლაოს დირექტორის მოადგილეც არ იყო მცირე ჩინი) და საქმე მე ჩამაბარეს. სატელეფონო ზარიდან ექვსი საათის შემდეგ, აღნიშნულ რაიონში ვიყავი და უბნის რწმუნებულსა და სასაფლაოს დარაჯს ვუსმენდი. გვამები დარაჯმა ნახა და უბნის რწმუნებულს დაურეკა“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

„ეს მათხოვარი სამი თვის წინ მიეკედლა სასაფლაოს. დირექტორს სთხოვა, აქ ვიცხოვრებ, ყოველდღე ვიღაც დადის საფლავზე, საკვებს ტოვებს, შევჭამ, თავს გავიტან, სამაგიეროდ, საფლავების გათხრაში უფასოდ დაგეხმარებითო. მართლაც, ყოველგვარი ჯამაგირის გარეშე, ღამით იწყებდა ხოლმე საფლავის თხრას და დილით ამთავრებდა. ყველა კმაყოფილი იყო, დირექტორი და მოადგილე პერიოდულად 10 მანეთსაც აძლევდნენ, რამეში დაგჭირდებაო და ისიც ბედნიერი იყო. აი, რატომ დახოცეს ერთმანეთი, ვერ გეტყვით“, – განაცხადა დარაჯმა და უბნის რწმუნებულს დასამატებელი, პრაქტიკულად, არაფერი ჰქონდა.

მათ ჩვენებაზე საინტერესო დირექტორის განცხადება იყო. ის გათხრილ საფლავს უყურებდა და თან სიას ჩაჰკირკიტებდა. მერე თავი ასწია, მხრები აიჩეჩა და თბილისიდან ჩასულ მაძებრებს უთხრა – „სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ეს ადგილი სიაში არ მაქვს ანუ აქ საფლავი არ უნდა გაეთხარათ. არ ვიცი, რატომ გათხარეს ეს საფლავი“.

დირექტორის ჩვენება უკვე საინტერესო იყო, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ „მათხოვრის“ თითის ანაბეჭდები კარტოთეკაში გადაამოწმეს და ის ორი წლის წინ, ქუთაისის ციხიდან გვირაბის გათხრის შედეგად გაქცეული „კანონიერი ქურდი“ იყო.

რაც შეეხება მკვლელობის იარაღს, ორივე გარდაცვლილს თავში მძიმე, ბლაგვი საგანი ჰქონდა ჩარტყმული და ის საგანიც იქვე ეგდო – ნიჩაბი. გასაგებია, რომ ერთმა მეორეს ჩაარტყა და მოკლა, მაგრამ მერე თავად ხომ არ ჩაირტყამდა და მოკვდებოდა? საფლავის ფსკერი ყოველი შემთხვევისთვის დაათვალიერეს და მცირე ზომის შუშის თვალი იპოვეს. ექსპერტიზამ დაადგინა, შუშა... უმაღლესი ხარისხის, წმინდა ბრილიანტი იყო. როგორც კი ბრილიანტმა გაიჟღერა, სასაფლაოს დირექტორმა ისევ ხმა ამოიღო – „შეუძლებელია, ნუთუ, ეს მართალია?!“

„როგორც გავარკვიეთ, ერთი წლის წინ, აღნიშნულ სასაფლაოზე რამდენიმე „კანონიერი ქურდი“ შენიშნეს. მათ ახლოს ვერავინ მიეკარა, მერე კი ითქვა, რომ ქურდებმა სასაფლაოს ტერიტორიაზე საფლავი გათხარეს და იქ რუსეთში, კერძოდ, კრასნოდარის მხარის ერთ-ერთი საიუველირო მაღაზიიდან მოპარული ბრილიანტები დამარხეს. საუბარი იყო 300 ათასი მანეთის ღირებულების ძვირფასეულობაზე. იმ ქურდებიდან ერთი დააკავეს, ორი გარდაცვლილი იპოვეს, მეოთხე კი დღემდე იძებნებოდა. გამოძიებით ისიც დადგინდა, რომ დაკავებული „კანონიერი ქურდი“ სასჯელს სწორედ იმ „კოლეგასთან“ ერთად იხდიდა, რომელიც გარდაცვლილი ვიპოვეთ. გამოდიოდა, რომ ერთმა მეორეს სამალავის ადგილსამყოფელი გაუმხილა და ამიტომ, სასწრაფო წესით, იმ ქურდის დაკითხვა მომინდა, მაგრამ ამაოდ – ის ტუბერკულოზით მაშინ გარდაიცვალა, როცა მისი კოლეგა გვირაბს თხრიდა და გაქცევას გეგმავდა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

კიდევ ვის შეიძლებოდა სცოდნოდა ბრილიანტების ამბავი? სასაფლაოს დირექტორმა განაცხადა, ჩემმა წინამორბედმა მითხრა, ასეთი ჭორი დადის და არ გაგიკვირდეს, თვეში, ან ორ თვეში ერთხელ, გათხრილი საფლავი რომ დაგხვდეს, იმ ბრილიანტებს ეძებენო. მაშინ გამეცინა და რეალურად, სულ ორი შემთხვევა მქონდა, როცა საფლავი დაგვხვდა გათხრილი. მერე ეს მათხოვარი გამოჩნდა, კარგად მუშაობდა, მთელ დღეებსა და ღამეებს სასაფლაოზე ატარებდა, მუდმივად ხელთათმანები ეკეთა, რას ვიფიქრებდი, თუ ხელებზეც სვირინგები ჰქონდაო.

სამაგიეროდ, აგენტურული ქსელი მუშაობდა გამართულად და სწორედ აგენტურული ქსელის მეშვეობით გაირკვა, რომ სასაფლაოს დირექტორის ცოლს... მისი მოადგილე ჰყვარობდა, სწორედ ის, „კანონიერი ქურდის“ გვერდზე რომ ეგდო თავგატეხილი. როდესაც დირექტორს უთხრეს ეს ამბავი, ხელი აიქნია, რაღა საყვარელი, განქორწინებაზე განცხადება გვქონდა შეტანილი, ცოლად მიჰყვებოდა, მოადგილეობიდანაც მიდიოდა, თბილისში ჰქონდა ახალი სამუშაო ნაშოვნიო. გადაამოწმეს, მართალი გამოდგა. რაც მთავარია, დაშორების მიზეზი მამაკაცის უშვილობა იყო და ისიც ბედს გახლდათ შეგუებული.

გარდა იმისა, რომ გამოძიებას ეჭვმიტანილი არ ჰყავდა, უდიდესი ალბათობით, ის ბრილიანტებიც ნაპოვნი იყო და მის გატანას ქვეყნიდან აუცილებლად შეეცდებოდნენ. 300 ათასი მანეთის ღირებულების ბრილიანტი საქართველოში, უბრალოდ, ვერ გაიყიდებოდა ისე, სამართალდამცავებს რომ არ გაეგოთ. გამომძიებლებმა ლამის ხელი ჩაიქნიეს და ამ დროს მშველელად ისევ სასაფლაოს დირექტორი მოევლინათ, რომელმაც სასხვათაშორისოდ თქვა, ეგებ, რამეში გამოგადგეთ და, დარაჯი ადრე ნასამართლევია, თანაც ორჯერ, არსად იღებდნენ სამუშაოდ, მაგრამ იმის გამო, რომ ჩემი ცოლის ნათესავია, ვუშუამდგომლე და დარაჯად ავიყვანეო. გადაამოწმეს და მართალი აღმოჩნდა. დარაჯი დაკითხვაზე არ დაიბარეს, მას თვალთვალი დაუწყეს და ისევ აგენტურულმა ქსელმა ივარგა – სასაფლაოს დარაჯი ყიდდა ყველაფერს, რაც გააჩნდა – სახლს, ავეჯს, მიწის ნაკვეთს. ოღონდ ყიდდა ჩუმად, გახმაურების გარეშე.

„ხმამაღლა გამოვაცხადე, ამ საქმიდან არაფერი გამოვა, მკვდარი თემაა და ამიტომ, თბილისში ვბრუნდები-მეთქი. დავემშვიდობე ყველას და ჩემს ბიჭებთან ერთად, თბილისისკენ წამოვედი, მაგრამ რეალურად, ქუთაისში, შსს-ს კონსპირაციულ ბინაზე მივედი და იქიდან ღამით, ისევ რაიონში დავბრუნდით. პარალელურად, დარაჯს სამი გამოცდილი ოპერმუშაკი უთვალთვალებდა. იმ დღეს არაფერი, არც მეორე დღეს, მესამე დღეს კი დარაჯთან ვიღაც უცხო პირი მივიდა ღამით და ერთ საათში უკანვე გამოვიდა. ორი ოპერმუშაკი მას გაჰყვა, ორიც ადგილზე დარჩა. დილით დარაჯი სახლიდან არ გამოსულა, ამიტომ ოპერმუშაკებმა ფრთხილად შეიხედეს ფანჯარაში და ის იატაკზე გაშხლართული ნახეს“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ძალოვნები ოთახში შევარდნენ, უგონოდ მყოფი დარაჯი საავადმყოფოში გააქანეს და... მისი გადარჩენა მოხერხდა. პარალელურად, მეორე პირიც დააკავეს, რომელსაც თან... ბრილიანტები ჰქონდა.

„როცა სასაფლაოზე მათხოვარი გამოჩნდა, მაშინვე ვიცანი და იმასაც მივხვდი, რისთვის ტრიალებდა აქ. ამიტომ, ოფიციალურად გამოვაცხადე, სასაფლაოს ღამით ორი დარაჯი არ სჭირდება, მე იშვიათად დავრჩები-თქო და სასაფლაოს დირექტორიც დამეთანხმა. სინამდვილეში, ყოველ ღამით ადგილზე ვიყავი და მათხოვარს ვუთვალთვალებდი, ყოველ ღამით თხრიდა და ეძებდა ანუ მიახლოებით იცოდა, სად უნდა ყოფილიყო ბრილიანტები და ამიტომ, არაერთი საფლავის გათხრა მოუხდა. მერე ყველაფერი ეს, შემთხვევით, დირექტორის მოადგილემ დაინახა და მნაც თვალთვალი დაიწყო, მე კი ორივეს ვუთვალთვალებდი. იმ ღამით, როცა ბრილიანტები იპოვა, გასვლას ვაპირებდი, მაგრამ საიდანღაც დირექტორის მოადგილე გამოვარდა და „მათხოვარს“ ბარი თავში ჩაარტყა. რა უნდა მექნა, მეორე ბარი მე ჩავარტყი, ბრილიანტები საფლავში ჩაიყარა, მეგონა, ყველა ვიპოვე. იმავე ღამით, ძველ „პადელნიკს“ დავურეკე, ბრმად ვენდობოდი, ორჯერ სიკვდილს გადავარჩინე. ჩამოვიდა, ბრილიანტები გავატანე, მერე მეც უნდა წავსულიყავი, მან კი სასიკვდილოდ გამიმეტა“, – დაასრულა მოყოლა დარაჯმა.

ბრილიანტების საქმის გახსნა ქართულმა მხარემ რუსეთს უპატაკა და მეორე დღეს, ექსპერტები და სამართალდამცავები უკვე საქართველოში იყვნენ. მათ დეტალურად აღწერეს ამოღებული ძვირფასეულობა და მესამე დღეს, რუსეთის გზას გაუყენეს. ქართულმა მხარემ მადლობის სიგელი მიიღო, გამომძიებელს კი 300-ათასიანი საქმის გახსნისთვის, პრემია – 120 მანეთი ერგო.

კახეთის პოლიციამ თელავში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2000 წელს დაბადებული თ.გ. ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე, ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ბრალდებულმა, თელავში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეს – 1996 წელს დაბადებულ მ.გ-ს ცივი იარაღის გამოყენებით, ყელის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცებად ამოიღო.

ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილ განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა-109-ე მუხლით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1983 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი პ.პ., განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მამაკაცმა, შურისძიების მოტივით, 1970 წელს დაბადებულ ო.პ.-ს, მისსავე ნაქირავებ ბინაში, ფიზიკური დაზიანებები მიაყენა, რის შედეგადაც ქალი ადგილზე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბრალდებული თბილისში დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო – დაკავებულია ოთხი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბოლო პერიოდში, თბილისში, შიდა ქართლსა და სამეგრელოში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები, ასევე, საბრძოლო მასალა ამოიღეს და ოთხი პირი დააკავეს.

დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1983 წელს დაბადებული თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე მ.ი. თბილისში დააკავეს. სამართალდამცველებმა, მისი პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და ვაზნები.

შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა კი 1992 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი თ.კ. გორში დააკავეს. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და ვაზნები ამოიღეს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1969 წელს დაბადებული გ.ა., ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით, თბილისში დააკავეს. მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, სამართალდამცველებმა 2 ცეცხლსასროლი იარაღი და 23 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

რაც შეეხება 1974 წელს დაბადებულ მ.ნ.-ს, იგი სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ფოთის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, ფოთში დააკავეს. მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, პოლიციამ ცეცხლსასროლი პისტოლეტი, მჭიდი და ვაზნები ნივთმტკიცებად ამოიღო.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

პოლიციამ თბილისში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2002 წელს დაბადებული ი.ზ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში, ერთ-ერთი ბინის მეპატრონისგან შევიდა შეტყობინება, რომ მის მიერ გაქირავებული ბინის კარი დაკეტილი იყო, ხოლო დამქირავებელი – უცხო ქვეყნის მოქალაქე ი.ზ. კონტაქტზე არ გამოდიოდა.

მიღებული შეტყობინების საფუძველზე, ადგილზე გამოცხადდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მაშველები, რომლებმაც აღნიშნული ბინის კარის საკეტის გაღება დაიწყეს, რა დროსაც კარი შიგნიდან გააღო ი.ზ.-მ და გაქცევას შეეცადა. მან წინააღმდეგობა გაუწია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლებს, თუმცა მაშველებმა მას გაქცევის საშუალება არ მისცეს და პოლიციის მისვლამდე მოახერხეს მისი შეჩერება.

ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე მამაკაცმა თბილისში, ნაქირავებ ბინაში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, საქართველოს მოქალაქეს – 1982 წელს დაბადებულ მ.ს.-ს სხეულზე ფიზიკური დაზიანებები მიაყენა, რის შედეგადაც ქალი ადგილზე გარდაიცვალა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თურქეთის რესპუბლიკის ჟანდარმერიის გენერალური სარდლობის დელეგაცია ესტუმრა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თურქეთის რესპუბლიკის ჟანდარმერიის გენერალური სარდლობის დელეგაცია, გენერალ-მაიორ ფერდი ქორქმაზის ხელმძღვანელობით, სამუშაო ვიზიტით ეწვია.

სტუმრებმა შეხვედრები გამართეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან.

დელეგაციის წევრები ასევე ეწვივნენ საპატრულო პოლიციის დეპარტმენტს, თბილისის პოლიციის დეპარტამენტს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს, შსს-ს აკადემიას და ადგილზე გაეცნენ აღნიშნული სტრუქტურული დანაყოფების მუშაობის სპეციფიკას.

ვიზიტის ფარგლებში გამართული შეხვედრების დროს, მხარეებმა საქართველოსა და თურქეთის სამართალდამცავ ორგანოებს შორის არსებული ეფექტიანი და ნაყოფიერი თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს და სამომავლო ურთიერთობის პერსპექტივები განიხილეს.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თურქეთის რესპუბლიკის ჟანდარმერიის გენერალურ სარდლობას შორის თანამშრომლობის გაღრმავება და გამოცდილების გაზიარება.

წილი ნაყარია – საქართველო ურთულეს ჯგუფში

გასულ უქმეებზე, გერმანიაში, ევროპის 2024 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წილისყრა გაიმართა. საქართველოს ნაკრებს ცუდი პერიოდი ნამდვილად არ უდგას და შესაბამისად, საშუალო ჯგუფში მოხვედრა ჩვენთვის შანსი იყო, თუმცა ბედმა თუ უბედობამ ისე ინება, ერთ-ერთი ყველაზე რთული ჯგუფი გვერგო. ჩვენი მეტოქე ესპანეთის ძლერი გუნდი, ერლინ ჰოლანდის ნორვეგია, ყოველთვის უხერხული შოტლანდია და თემურ ქეცბაიას კვიპროსი იქნება. ჰო, კვიპროსი, რომლის თავკაცადაც ორიოდე თვის წინ ქართველი სპეციალისტი დაინიშნა და გვეეჭვება, საქართველოსთან ჯგუფში მოხვედრა გახარებოდა.

ამის მიუხედავად, ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, მაგრამ... გავიხსენოთ ისიც, რომ საქართველოს ნაკრებმა ევროპის ერთა ლიგა მოიგო და ახლა პლეი-ოფის მატჩები ელოდება. შესაბამისად, პლეი-ოფში, ჯერ ყაზახეთს, შემდეგ კი თურქეთისა და საბერძნეთის წყვილს შორის გამარჯვებულს თუ მოვუგებთ, ევროპის 2024 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე პირდაპირ მოვხვდებით და ეს შესარჩევი ჩვენთვის უბრალო ფორმალობა იქნება. რაც შეეხება სხვა ჯგუფებს, ასე გამოიყურება (რუსეთის ნაკრები შესარჩევიდან ოფიციალურად მოხსნილია):

A ჯგუფი: ესპანეთი, შოტლანდია, ნორვეგია, საქართველო, კვიპროსი;

B ჯგუფი: ნიდერლანდები, საფრანგეთი, ირლანდია, საბერძნეთი, გიბრალტარი;

C ჯგუფი: იტალია, ინგლისი, უკრაინა, ჩრდ. მაკედონია, მალტა;

D ჯგუფი: ხორვატია, უელსი, სომხეთი, თურქეთი, ლატვია;

E ჯგუფი: პოლონეთი, ჩეხეთი, ალბანეთი, ფარერები, მოლდოვა

F ჯგუფი: ბელგია, ავსტრია, შვედეთი, აზერბაიჯანი, ესტონეთი;

G ჯგუფი: უნგრეთი, სერბეთი, მონტენეგრო, ბულგარეთი, ლიეტუვა;

H ჯგუფი: დანია, ფინეთი, სლოვენია, ყაზახეთი, ჩრდ. ირლანდია, სან-მარინო;

I ჯგუფი: შვეიცარია, ისრაელი, რუმინეთი, კოსოვო, ბელარუსი, ანდორა.;

J ჯგუფი: პორტუგალია, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ისლანდია, ლუქსემბურგი, სლოვაკეთი, ლიხტენშტაინი.

ევრო 2024-ის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩების კალენდარი:

28/03/23 – საქართველო – ნორვეგია;
17/06/23 – კვიპროსი – საქართველო;
20/06/23 – შოტლანდია – საქართველო;
08/09/23 – საქართველო – ესპანეთი;
11/09/23 – ნორვეგია – საქართველო;
15/10/23 – საქართველო – კვიპროსი;
16/11/23 – საქართველო – შოტლანდია;
19/11/23 – ესპანეთი – საქართველო.

ისევ კვარაცხელია და გრანდების რიგი იზრდება

გასულ უქმეებზე, იტალიის ჩემპიონატში ქართული დერბი გაიმართა. ხვიჩა კვარაცხელიას „ნაპოლი“, ლუკა ლოჩოშვილის „კრემონეზეს“ სტუმრობდა. ორივე ქართველმა შეუცვლელად ითამაშა, თუმცა განსხვავებულად. ნეაპოლელებმა მეტოქე 4:1 დაამარცხეს და ამ საქმეში კვარაცხელიას წვლილი უდიდესია. მან პენალტიც მოიპოვა, 93-ე წუთზე კი თანაგუნდელს საუცხოო პასი მისცა და ცარიელ კარში გაატანინა. შესაბამისად, კვარაცხელია მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს და ყველა გამოცემამ, მას ორივე გუნდის ფეხბურთელებს შორის, უმაღლესი შეფასება დაუწერა. თუმცა, მთავარი ეს კი არა, ის გახლავთ, რომ ხვიჩამ ყველა ტურნირზე, „ნაპოლის“ მაისურით 12 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და მისი უშუალო მონაწილეობით, ნეაპოლელებმა 14 გოლი გაიტანეს. 14 გოლიდან, 6 – უშუალოდ, კვარაცხელიამ შეაგდო, 5 საგოლე გადაცემა გააკეთა და 3 პენალტი აიკიდა, რომლებიც გოლად მისმა თანაგუნდელებმა აქციეს.

შესაბამისად, აღარავის უკვირს ის, რომ კვარაცხელიას შეძენის მსურველთა რიგი იზრდება. ყველა აღიარებს, რომ ქართველი ისეთ დონეზე ასპარეზობს, ნებისმიერ ჩამპიონატსა და გუნდს გაქაჩავს. არაოფიციალური ინფორმაციით, კვარაცხელიას თამაშის სანახავად უკვე დადიან „რეალის“, „ლივერპულის“, „მანჩესტერ სიტისა“ და „ბაიერნის“ წარმომადგენლები. ნეაპოლელი გულშემატკივრებიც ხვდებიან, რომ ძალიან დიდია იმის ალბათობა, ქართველი ვარსკვლავი მათ გუნდს „ფუკასავით“ ააცალონ, ამიტომ კლუბის ხელმძღვანელობას კატეგორიულად სთხოვენ, რომ ქართველს ჯამაგირი გაუზარდონ. საქმე ის გახლავთ, რომ ანაზღაურების მხრივ, ხვიჩა გუნდში მე-17 ადგილზეა და მისი წლიური ჯამაგირი 1.5 მილიონი ევროა. ეს მაშინ, როცა სხვები მასზე გაცილებით მეტს იღებენ.

კლუბის პრეზიდენტი აურელიო დე ლაურენტისი ამბობს, რომ ზამთარში ქართველის კონტრაქტს გადახედავენ. სავარაუდოდ, ჯამაგირის გაზრდის გარდა, გაიზრდება კვარაცხელიას გამოსასყიდი ფასიც და ის... 100 მილიონი გახდება. სწორედ ეს ციფრი თქვა დე ლაურენტისმა, როცა ჰკითხეს, რა ფასად შეელეოდა ქართველ ვარსკვლავს. მეორე მხრივ, 100 მილიონის გადახდა „რეალსაც“ შეუძლია, „ლივერპულსაც“ და „მანჩესტერ სიტისაც“. რაც შეეხება გერმანულ „ბაიერნს“, ეს კლუბი ფეხბურთელებში კოლოსალური თანხების გადახდას ყოველთვის ერიდება და ურჩევნია, პერსპექტიული ფეხბურთელები იაფად იყიდოს და თავად გაზარდოს. ხვიჩას შემთხვევაში, ეს არ გამოვა, ის უკვე გაზრდილია.

რადგან სხელფასები ვახსენეთ, მოდით, იმ ფეხბურთელთა ათეულიც ვნახოთ, რომლებმაც მიმდინარე წელს, ყველაზე მეტი მიიღეს. ხელფასებისა და პრემიების გარდა, აქ სარეკლამო კონტრაქტებიდან მიღებული თანხებიცაა გათვალისწინებული:

კილიან მბაპე („პსჟ“, საფრანგეთი) – 128 მილიონი დოლარი;
ლიონელ მესი („პსჟ“, საფრანგეთი) – 120 მილიონი დოლარი;
კრიშტიანუ რონალდუ („მანჩესტერი“, ინგლისი) – 100 მილიონი დოლარი;
ნეიმარი („პსჟ“, საფრანგეთი) – 87 მილიონი დოლარი;
მოჰამედ სალაჰი („ლივერპული“, ინგლისი) – 53 მილიონი დოლარი;
ერლინგ ჰოლანდი („სიტი“, ინგლისი) – 39 მილიონი დოლარი;
რობერტ ლევანდოვსკი („ბარსელონა“, ესპანეთ) – 35 მილიონი დოლარი;
ედენ აზარი („რეალი“, ესპანეთი) – 31 მილიონი დოლარი;
ანდრეს ინიესტა („ვისელ კობე“, იაპონია) – 30 მილიონი დოლარი;
კევინ დე ბრუინი („სიტი“, ინგლისი) – 29 მილიონი დოლარი.

პატარა ბორჯღალოსნებმა ევროპა ზედიზედ მეოთხედ მოიგეს

თბილისისა და რუსთავის სარაგბო სტადიონებზე, 18-წლამდელთა შორის, ევროპის ჩემპიონატი გაიმართა. მთავარ ფავორიტად საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები სახელდებოდა, რადგან ჩვენს გუნდს ზედიზედ სამჯერ ჰქონდა მოგებული კონტინენტის პირველობა.

პატარა ბორჯღალოსნებმა ფავორიტის სტატუსი სრულად გაამართლეს, ფინალამდე მარტივად მივიდნენ და იქ ტრადიციულ მეტოქეს, პორტუგალიას შეხვდნენ. წესითა და რიგით, მატჩი დაძაბული უნდა გამომდგარიყო, თუმცა ქართველებმა მეტოქეს შანსი არ დაუტოვეს და საბოლოო ჯამში, 34:10 იმარჯვეს. ზედიზედ მეოთხედ მოგებული ევრო-პირველობის შემდეგ, კიდევ უფრო განმტკიცდა მოსაზრება, რომ საქართველო ტოპ-ნაკრებებთან სათამაშოდ მზადაა და ევროპული რაგბის მამები უნდა დაფიქრდნენ, ჩვენს ქვეყანას უძლერესთა შორის ასპარეზობის უფლება მიეცეს.

კასილასის აღიარება თუ ჰაკერების შეტევა

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა, ლეგენდარულმა მეკარემ იკერ კასილასმა, სოციალურ ქსელში, ოფიციალურ გვერდზე დაწერა, რომ... გეია. მან საზოგადოებას ბოდიში მოუხადა და აღნიშნა, იმედია, არ გამაკრიტიკებთო. ყველაზე საინტერესო კი ის გახლავთ, რომ სტატუსის ქვემოთ, კომენტარი „ბარსელონას“ ლეგენდარულმა კაპიტანმა ესპანეთის ნაკრებში, კასილასის თანაგუნდელმა, კარლეს პუიოლმა დაწერა და აღნიშნა, დროა, ჩვენი ისტორია მოვყვეთო.

არადა, იკერს ცოლად ესპანეთში ერთ-ერთი ულამაზესი ქალი, ჟურნალისტი სარა კარბონერო ჰყავდა, რომელთანაც ორი შვილიცც ჰყავს, მაგრამ წყვილი 2019 წელს დაშორდა. მას შემდეგ, იკერს არაერთ ლამაზმანთან რომანს მიაწერდნენ, თუმცა ოფიციალურად, საზოგადოებაში ის ყოველთვის მარტო ჩნდებოდა. ახლა კი ეს აღიარება...

მომხდარიდან რამდენიმე საათში, კასილასმა განაცხადა, გვერდი გამიტეხეს, მე არ დამიწერიაო. აი, ამის მერე დაიწყო, რაც დაიწყო. ლგბტ თემის წარმომადგენლებმა, ვეტერანი მეკარე კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარეს, აქაოდა, რატომ გიტყდება, თუ გეი ხარ, ან თუ გაგიტეხეს, გაგეტარებინა, მერე რა მოხდაო. მოკლედ, ახლა კასილასმა ან ის უნდა აღიაროს, რომ განცხადება ნამდვილად თავად გაავრცელა და საზოგადოებამ დაიჯეროს, რომ გეია, ან ლგბტ თემის წარმომადგენელთა შემოტევას გაუძლოს და ბოლო ხმაზე იყვიროს – „არ ვარ მე, ის კაცი“...

მოციგურავეებმა სეზონი მედლებით გახსნეს

ზამთრის მოახლოებასთან ერთად, მოციგურავეების ტურნირებიც იწყება. პირველ ტურნირს ფინეთის ქალაქმა ესპოომ უმასპინძლა და საქართველოს ღირსებას გოგონებში – ანასტასია გუბანოვა, ვაჟებში – მორის ყვითელაშვილი იცავდნენ.

მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ძლიერი კონკურენციის მიუხედავად, ახალი პროგრამით წარმდგარმა ქართელმა სპორტსმენებმა ჟიურის მოწონება დაიმსახურეს. ყვითელაშვილმა ვერცხლის მედალი მოიპოვა, გუბანოვა კი მხოლოდ სამხრეთ კორეელებს ჩამორჩა და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.



გიორგი სუხიტაშვილი ემიგრაციაში წასვლას გეგმავს

გვანცა პეტრიაშვილი

ქართული შოუ-ბიზნესი მუდმივად განხილვის თემაა. ყველას მოგვისმენია თანამედროვე არტისტების ჩივილი, რომ ქართული შოუ-ბიზნესი თითქმის არ არსებობს, ფინანსური სარგებლის მიღება ჭირს და კარიერული განვითარების შესაძლებლობა არ აქვთ. რამდენად ასახავს ეს მოსაზრება რეალობას და რას ფიქრობენ ამ საკითხზე შოუ-ბიზნესში მოღვაწე ადამიანები? „ვერსია“ მომღერალ გიორგი სუხიტაშვილს ესაუბრა:

„ვიდრე შენს ქვეყანაში მტრის სიმღერები იქნება ჩართული, რომელ სამომავლო გეგმებზეა საუბარი“

– გიორგი, სოციალურ ქსელში ხშირად აქტიურობთ... რა ხდება თქვენს შემოქმედებით ცხოვრებაში?

– საკმაოდ რთულადაა საქმე. არ მიყვარს წუწუნი, მაგრამ ქვეყანაში ისეთი ვითარებაა, რომ დიდი ღონისძიებები არ ტარდება, შესაბამისად, ჩემი რესურსით მიწევს ახალი კომპოზიციების კეთება.

– კონცერტები რატომ არ ტარდება?

– ეს ჩვენი ქვეყნის თანმდევი პრობლემაა. ვერ იტყვი, რომ ერთი რაღაცის ბრალია, თუმცა ვერც იმას იტყვი, რომ კარგად არ ვმუშაობთ და ამის გამო ხდება. მუშაობის ადეკვატურ პირობებსაც ვერ იღებ. ვთქვათ, ვწერ სიმღერას, შემდეგ ეს სიმღერა დავაანონსე, გვაქვს კონცერტები და შემოსავლები, შემდეგ ახალ კომპოზიციებს ვაკეთებ ამ შემოსავლით. ბრუნვაა, როგორც სხვა ბიზნესში, ისეა აქაც. შოუ-ბიზნესი ნიშნავს, რომ შენი ნიჭისა და შრომის ადეკვატურად ხარ დაფასებული, მაგრამ ჩვენთან ყველაფერი უკუღმაა.

> **არ მიყვარს პოლიტიკაზე საუბარი, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში მინიმალური დეტალებიც კი მიბმულია პოლიტიკაზე. მაქსიმალურად ვცდილობ, თითი არ გავიშვირო ვიღაცისკენ, თუმცა ძალიან რთულია, ამაზე არ ვისაუბროთ...**

– პანდემიური კრიზისი ყველას შეეხო, თქვენ როგორ გაიარეთ ეს პერიოდი?

– რეალურად, ყველაფერი პანდემიიდან დაიწყო, პროტესტებიც ხომ პანდემიის დროს გაჩნდა?! ამ სფეროში დასაქმებული რამდენი ადამიანი ითხოვდა, რომ ელემენტალურად რაღაც გაეკეთებინა, რათა ლუკმა-პურის გარეშე არ დარჩენილიყო. რა გააკეთეს? – არაფერი... ადამიანებმა დაკარგეს სამსახურები, ქვეყნიდან წავიდნენ და აღარც დაბრუნებულან. აქედან დაიწყო გულისტკივილი. ამის შემდეგ ველარ გაიმართა ეს სფერო. რეალურად, ახალი პროდუქტი რომ შეიქმნას, უნდა იყოს მოძრაობა. ადამიანებს უნდა ჰქონდეთ შემოსავალი. მსმენელს ხშირად ჰგონია, რომ სახლში დაჯდები, გიტარას აიღებ, სიმღერას დაწერ და უცბად იქცევა ჩანაწერად. ასე არ ხდება, ასე მხოლოდ კინოშია. ამ სფეროს საკმაოდ დიდი რესურსი სჭირდება, რომ პროდუქტი შექმნიდან მსმენელამდე მიიტანო.

– ბევრმა მომღერალმა მოძებნა აუდიტორია და უმღერა რუს ხალხს. ამის უკანასკნელი მაგალითი მეგი გოგიტიძეა. როგორ აფასებთ ამ ქმედებას, მით უმეტეს, უკრაინა-რუსეთის ომის ფონზე?

– კონკრეტულ ადამიანებზე არ ვისაუბრებ. არ ვარ ის ადამიანი, რომელიც ვიღაცის მიმართ ქვების სროლითაა დაკავებული. თუ იმაზე ვსაუბრობთ, რომ ვიღაც არ უნდა წასულიყო, 2008 წლის შემდეგ გადახედეთ სტატისტიკას, რამდენმა მომღერალმა ჩაატარა რუსეთში კონცერტი. ვიღაც იტყვის, გეოგრაფიას რა მნიშვნელობა აქვსო, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ვიღაც მოსკოვში ჩაატარებს, ვიღაც სხვა ქვეყანაში. მეგის არ ვიცავ, უბრალოდ, არ მიყვარს, როდესაც ერთ ადამიანზე მიაქვთ იერიში და ისე იქცევიან, თითქოს, სხვას არ გაუკეთებია იგივე. მეც მქონდა უამრავი შემოთავაზება და არ წავედი, ამის დადასტურებაც შეიძლია, ეს ჩემი პოზიცია იყო. ვთქვათ, რუსეთი მტერია ან ვთქვათ, ხან მტერია, როცა გვაწყობს და ხან – არა.

– რუსი ტურისტების საქართველოში შემოსვლაზე რა აზრის ხართ, ხედავთ თუ არა საფრთხეს და ზოგადად, რას ნიშნავს თქვენთვის ომის დღეები?

– ვინც თვალს ადევნებს ჩემს სოციალურ ქსელს, ყველამ კარგად იცის, რომ პირველივე დღიდან, როცა დაიწყო შემოსვლა საქართველოში, რუსი ტურისტი ვერ იქნება ისეთი, როგორიც მაგალითად, შვედი ან ბრიტანელი ტურისტია... ვერასდროს იქნება, მით უმეტეს, იმ პირობებში, როცა ჩვენი ქვეყნის ტერიტორია ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. ამაზე უნდა შევთანხმდეთ და თუ ვერ ვთანხმდებით, მაშინ, საერთოდ, საუბარიც არ უნდა გავაგრძელოთ.

სავიზო რეჟიმი არ ნიშნავს, რომ ვინმეს აუკრძალო ქვეყანაში შემოსვლა. სავიზო რეჟიმი ბერკეტია, რათა გავარკვიოთ, ვინ შემოდის, რატომ, რა ვადით და ა.შ. ახლა აბსოლუტურად უმართავია ეს პროცესი, ქვეყანას ცალმხრივად აქვს სავიზო რეჟიმი და ეს, უბრალოდ, თავმოყვარეობის ამბავია. შენი ქვეყნის ტერიტორიები ოკუპირებულია, პირიქით რომ იყოს, შეიძლება კიდევ გაიგო, მე მაქვს ოკუპირებული და კარგი, გავუხსნი საზღვარს და იარონო.

> **მე, პირადად, არ წავედი ბათუმში წელს იმიტომ, რომ რუსეთში დასვენება არ მინდა. თბილისშიც არ დავდივარ ტურისტების თავშეყრის ადგილას, ეს არის ჩემთვის ძალიან მტკივნეული. ასევე, გულნატკენი ვარ, რომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები, ოღონდ ფული შემოუვიდეთ და საიდან ან როგორ, არ აქვს მნიშვნელობა, უპირატესობას ანიჭებენ რუსეთის მოქალაქეებს და ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები იჩაგრებიან.**

120 000 გამომწერი მყავს და როდესაც ხვდებიან, რომ აქტიური ვარ სოციალურ ქსელში, შემიძლია გავავრცელო ინფორმაცია, მწერენ გულნატკენი თანამოქალაქეები, ფოტო-მასალას მიგზავნიან, მელაპარაკებიან, აზრს მეკითხებიან. არ ვარ ადამიანი, ვინც მათ პრობლემებს გადაჭრის, მაგრამ როდესაც ვუყურებ ყველაფერ ამას, არ შემიძლია, აზრი არ გამოვთქვა. ძალიან ბევრი მუდმივი ცხოვრების ნებართვაა გაცემული, ბევრი უძრავი ქონებაა შესყიდული, ასე არ შეიძლება.

– გიორგი, ახლა სხვა თემებიც განვიხილოთ – ვიცით, პაპა თქვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი ადამიანი იყო...

– ძალიან მიჭირს პაპაზე საუბარი, დიდი დრო არ არის გასული, რაც გარდაიცვალა და ვერიდები მასზე საუბარს. ის ჩემთვის ოჯახის წევრი იყო, რომელსაც 36 წელი ვუყურებდი და ბევრი კარგი ემოცია მქონდა, განსაკუთრებით, ბოლო წლებში...–

– როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

– სამომავლო გეგმები პირდაპირკავშირშია ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობასთან. კარგი გეგმები მქონდა, მაგრამ ვერ ვანხორციელებ.

> **ვაპირებდით ბათუმში ქართული კონცერტის ჩატარებას, რომელსაც დავარქვით „გამორთე რუსული“, გვინდოდა, რუსული სიმღერები არ გაჟღერებულიყო საქართველოს რესტორნებში, ბარებში და ა.შ. კარგი, ხარისხიანი, ცოცხალი კონცერტი უნდა ჩაგვეტარებინა უამრავი ქართველი მომღერლით, თუმცა ბათუმის მერიამ გვითხრა, რომ საქართველოში ქართულ კონცერტს ვერ ჩავატარებდით ამ სახელწოდებით იმიტომ, რომ ვიღაცას ეს არ მოეწონებოდა. ვიდრე ასეთ ქვეყანაში ვიცხოვრებთ, როდესაც შენს ქვეყანაში მტრის სიმღერები იქნება ჩართული, რომელ სამომავლო გეგმებზეა საუბარი?**

როდის მქონდა კონცერტი ბოლოს, ვერ გეტყვით. ჩემი სოლო კონცერტი კი არა, ზოგადად, კონცერტზე როდის დამიძახეს, მაგასაც ვერ გეტყვით. ყველაზე კარგ ფორმაში, რომელშიც ვყოფილვარ ცხოვრების მანძილზე, ახლა ვარ და ვგრძნობ, შემიძლია რაღაცის კეთება. სამომავლო გეგმაა, რომ ამდენი არ მიფიქრია აქამდე, ქვეყნიდან წასვლაზე. ვიღაცას, შეიძლება, ეს დეპრესიულად მოეჩვენოს, მაგრამ ადამიანი ვარ, უბრალოდ, ჩემი პროფესიით ვერ ვმუშაობ. მარტივად რომ ვთქვათ, სხვა გამოსავალი არ არის და, ვფიქრობ, ქვეყნიდან წასვლაზე. ეს არის სამომავლო საფიქრალიც და გეგმაც. გულწრფელად, ბოლომდე მინდოდა, ჩემს ქვეყანაში მეკეთებინა ეს საქმე და შექმნილი პროდუქტი წამეღო სადმე, სახელი გამეტანა, მაგრამ სხვა გზა არ არის.

კუჭიდან კოვზები ამოუღეს

ინდოეთში, ექიმებმა პაციენტს მუცლის ღრუდან 63 კოვზი ამოაცალეს. სპეციალისტების თქმით, კარიერის განმავლობაში, მათ მსგავსი არაფერი უნახავთ. ადგილობრივი მედიის ცნობით, მამაკაცი კლინიკაში მუცლის ძლიერი ტკივილის ჩვენებით მივიდა. მედიკოსებმა თავიდან ჩათვალეს, რომ დისკომფორტი სიმსივნით იყო გამოწვეული, თუმცა გამოკვლევებისას აღმოჩნდა, რომ პაციენტს კუჭში 63 ცალი კოვზი ჰქონდა.

„გადადება აღარ შეიძლებოდა და მას სასწარაფო ოპერაცია ჩაუტარდა, რომელიც ორ საათს გაგრძელდა. ჩემი 35-წლიანი კარიერის განმავლობაში, მსგავსი შემთხვევა არ მქონია“, – განაცხადა ქირურგმა. მამაკაცის ახლობლები მიიჩნევენ, რომ მას კოვზებით აჭმევდნენ, როცა ნარკოდამოკიდებულების დასაძლევად, ადგილობრივ კლინიკაში იწვა. გარდა ამისა, მედიკოსებმა დაასკვნეს, რომ პაციენტს ფსიქიკური პრობლემებიც ჰქონდა.

ერთდროულად 433 ადამიანს გაუმართლა

ფილიპინებზე, ლატარეა – Grand Lotto-ს ჯეკპოტი, ერთდროულად, 433-მა ადამიანმა მოიგო. ამის გამო, შესაძლოა, სამართალდამცავებმა გამოძიებაც დაიწყონ. BBC-ის ინფორმაციით, გათამაშების პრიზი 236 მილიონი პესო (დაახლოებით, 4 მილიონი დოლარი) იყო. თუმცა, გამარჯვებულთა რაოდენობასთან ერთად, ეჭვები გააჩინა მომგებიანმა ციფრებმაც – ექვსივე რიცხვი 9-ის ჯერადი იყო. ლატარიის ორგანიზატორები აცხადებენ, რომ თაღლითობა შეუძლებელია. მათი თქმით, მსოფლიოში, ყოველდღიურად, ასობით ლატარეა თამაშდება და სტატისტიკურად, გასაკვირი სულაც არ არის, რომ რამდენიმე ათწლეულში ერთხელ, ერთ კონკრეტულ გათამაშებაში, ასეთი უჩვეულო რიცხვები დაფიქსირდა.

კრიზისმა მილიარდერებსაც დაარტყა

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და ინფლაცია არა მხოლოდ რიგითი ადამიანების ცხოვრებაზე აისახა, არამედ, მილიარდერებზეც. ამის დასტურია გამოცემა „ფორბსის“ სიაა. 400 ყველაზე მდიდარი ამერიკელის კაპიტალი 4 ტრილიონი დოლარია, რაც 11%-ით ნაკლებია გასული წლის მონაცემებთან შედარებით. ერთ-ერთი, ვისთანაც ამ კრიზისს არ მიუღწევია, ილონ მასკია, რომელიც წელს, პირველად ჩაუდგა სათავეში „ფორბსის“ რეიტინგს. მისი ქონება 2022 წელს, დაახლოებით, 60.5 მილიარდი დოლარით გაიზარდა. მეორე პოზიციას Amazon-ის დამფუძნებელი ჯეფ ბეზოსი იკავებს, რომელმაც მნიშვნელოვანი ზარალი ნახა კომპანიის აქციების 27%-ით გაუფასურების შემდეგ. ლიდერთა სამეულშია ბილ გეითსიც – Microsoft-ის დამფუძნებელი. პოზიციების შენარჩუნება ბევრმა მილიარდერმა ვერ შეძლო, მათ შორის, მარკ ცუკერბერგმაც – გასულ წელს, გამოცემის სიაში, ის მესამე ადგილს იკავებდა, წელს კი საერთოდ ამოვარდა ტოპ-ათეულიდან. მარკმა 77 მილიარდი დოლარი დაკარგა და იმ მდიდართა რეიტინგს ლიდერობს, რომელთაც წელს ყველაზე დიდი დანაკარგები ჰქონდათ.

ტუალეტების წმენდა თერაპიაა

ადამიანების უმრავლესობა საზოგადოებრივ ტუალეტებს ზიზღით უყურებს და ცდილობს, ზედმეტად არ დასჭირდეს იქ შესვლა, თუნდაც აქეთ გადაუხადონ ფული. იაპონური სოციალური კლუბის – Benjyo Soujer წევრები კი იქ დასუფთავების მიზნით დადიან და ამაში კაპიკსაც არ იღებენ. ეს მათთვის ერთგვარი თერაპიული ჰობია. კვირა დღეს, დილით, 35 ადამიანისგან შემდგარი ჯგუფი, რომელშიც უფროსებიც არიან და ბავშვებიც, ტოკიოს საზოგადოებრივი ტუალეტების დასასუფთავებლად მიემართება. ისინი სოციალური ქსელის – Facebook-ის საშუალებით უკავშირდებიან ერთმანეთს.

ეს ადამიანები საკუთარ სოციალურ მისიას სწორედ საპირფარეშოს დალაგებაში ხედავენ. ათასგვარი საშუალებით აღჭურვილები, კაბინებისკენ მიემართებიან და იქიდან მხოლოდ მაშინ გამოდიან, როცა ყველაფერი სისუფთავისგან ბრწყინავს. ამ კლუბის ყველა წევრი უსასყიდლოდ იღწვის, რადგან ამას საკუთარი სულის კარნახით აკეთებს. მათთვის ტუალეტის წმენდა ერთგვარი „გამწმენდი“ რიტუალია, ბუდისტების რიტუალების მსგავსად. ზოგიერთები ამით მორჩილებას სწავლობენ, ზოგისთვის კი ეს საქმიანობა „ორთქლის გამოშვებაა“, მომავალი სამუშაო კვირის წინ.

„უჩინმაჩინის“ ლაბადა შექმნეს

ბრიტანელმა სწავლულებმა „უჩინმაჩინის“ ლაბადის პროექტი შექმნეს. ტანსაცმელს შეუძლია, ობიექტი ინფრაწითელი კამერებისთვის უჩინარი გახადოს. სიახლის შემქმნელების თქმით, მათ გააერთიანეს ტექნოლოგიები ფიზიკის, ოპტიკური მასალების, ელექტრონული სისტემების, ინჟინერიისა და საფეიქრო მრეწველობის სფეროებიდან. „ლაბადა-უჩინარის“ პროტოტიპი 42 ოპტიკური ლინზითაა აღჭურვილი. მათი მართვა ინდივიდუალურად, მინი-კომპიუტერით შეიძლება. ავტორები ვარაუდობენ, რომ უჩინარი ლაბადა ფართო მოხმარებისთვის გაყიდვაში, დაახლოებით, ხუთი წლის შემდეგ გამოვა.

ლაგუნა პიროვნებად აღიარეს

ესპანეთის ხელისუფლებამ მარ მენორი, ევროპაში უდიდესი მლაშეწყლიანი ლაგუნა, ადამიანის უფლებებით აღჭურვა. ახლა მას მეურვე ჰყავს და კანონიერი უფლება აქვს არსებობაზე, მისი ეკოსისტემის დაბინძურებისგან დაცვაზე, განვითარებასა და აღდგენაზე. ესპანელები ამ მეთოდით ცდილობენ ლაგუნას გადარჩენას. მარ მენორის ფართობი 135 კვადრატული კილომეტრია. აქაურ წყლებში ცხოვრობენ ხამანწკები, კიბორჩხალები, გველთევზები და ზღვის ცხენები. ბოლო წლებში, ყურე სერიოზულად დაზიანდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან ჩამონადენი სასუქიანი წყლისგან – ზღვის ბინადრები ნადგურდებოდნენ, სანაპიროზე კი ადამიანები მილიონობით მკვდარ თევზს აწყდებოდნენ. სწავლულებმა პეტიცია შექმნეს ლაგუნასთვის უფლებების მინიჭების მოთხოვნით, რომელსაც 640 ათასმა ესპანელმა დაუჭირა მხარი. ის სენატმაც მოიწონა და ახლა ლაგუნას პატრონი ჰყავს – სამეცნიერი საბჭო. იმედოვნებენ, რომ ახალი სტატუსი მარ მენორს გადაარჩენს ყველა მისი მცხოვრებით.

ბრიუს უილისმა ციფრული ორეული გაყიდა



67 წლის პოპულარულმა ამერიკელმა მსახიობმა ბრიუს უილისმა, რომელმაც ავადმყოფობის გამო კარიერა დაასრულა, საკუთარი გამოსახულების გამოყენების უფლება გაყიდა. მყიდველი რუსული ტექნოლოგიური კომპანია Deepcake-ია. ასე რომ, ჰოლივუდის ვარსკვლავი, შესაძლოა, კვლავ ვიხილოთ ეკრანებზე – ფილმებში, სერიალებსა თუ რეკლამაში. „კერკეტი კაკალი“ პირველი ჰოლივუდელი არტისტია, რომელმაც საკუთარი ციფრული ორეულის გამოყენების უფლება გაყიდა.

ქმარზე ლამაზი ცოლი საშიშია

სწავლულებმა ნისლიანი ალბიონიდან გაარკვიეს, რომ იმ წყვილებში, რომლებშიც ქალის გარეგნული მიმზიდველობა მნიშვნელოვნად აღემატება მამაკაცისას, გაყრის ალბათობა განსაკუთრებით მაღალია. მაგრამ თუკი მამაკაცი ქალზე ლამაზია, ეს მათი ურთიერთობების სიმყარეს არ აზიანებს. ასეთ ინფორმაციას ბრიტანული „დეილი მეილი“ ავრცელებს. მკვლევარებმა ჩესტერის, ლივერპულისა და სტირლინგის უნივერსიტეტებიდან, 100 წყვილის ფოტო გადაიღეს. ყოველი ქალი და მამაკაცი გარეგნული მიმზიდველობის მიხედვით შეაფასეს. გაირკვა, რომ თუ ქალი მნიშვნელოვნად ლამაზია კაცზე, მათი ურთიერთობა მხოლოდ რამდენიმე თვის განმავლობაში გრძელდება. ლამაზმა ქალებმა იციან, რომ მათ დიდი არჩევანი აქვთ, ამიტომ საკმაოდ თავდაჯერებულები არიან და ადვილად წყვეტენ ურთიერთობას. მიმზიდველ მანდილოსნებს, საერთოდაც, ხანმოკლე ურთიერთობები ურჩევნიათ, – აცხადებენ სწავლულები. მათი კიდევ ერთი აღმოჩენა იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი მიისწრაფვის, ბედი დაუკავშიროს მას, ვისი სახის ნაკვთებიც სიმეტრიის ისეთივე წესებს ემორჩილება, როგორსაც მისი.

ტომ ჰენქსი პირველ რომანს უშვებს



პოპულარული ჰოლივუდელი მსახიობი ტომ ჰენქსი, 2023 წელს, თავის პირველ რომანს გამოუშვებს. წიგნს The Making of Another Major Motion Picture Masterpiece („მორიგი დიდი კინოშედევრის შექმნისას“) ჰქვია. მისი გაყიდვები მომავალი წლის 9 მაისიდან უნდა დაიწყოს. მსახიობის თქმით, წიგნის ყოველ პერსონაჟში ავტორის თვისებებსა და ხასიათს ამოიცნობთ: ისინიც იგივე განცდებში იქნებიან, რასაც თავად ჰენქსი განიცდიდა ფილმების შექმნისას. რომანში მოქმედება აშშ-ში, დროის სხვადასხვა პერიოდში ხდება: ომის შემდგომ – 1947 და 1970-იან წლებში და თანამედროვე დროში.

სიგარეტის ნამწვისგან სათამაშოებს აკეთებენ

ინდოელმა ჰამან გუპტამ, ნიუ-დელის გარეუბანში, სიგარეტის ნამწვის გადასამუშავებელი ფაბრიკა გახსნა, სადაც მისგან რბილ სათამაშოებს კერავენ. სიგარეტის ფილტრებისგან პროდუქციის შიგთავსს ამზადებენ. ერთი წლის განმავლობაში, აქ მომუშავეები მილიონობით ნამწვს ამუშავებენ და მისგან ტონობით ბოჭკოს იღებენ. თავიდან ფილტრს ქაღალდის გარსისგან და თამბაქოს ნარჩენებისგან ასუფთავებენ – მათგან გადამუშავებული ქაღალდი და კომპოსტი კეთდება. ფილტრისგან ბოჭკოს იღებენ, რეცხავენ და მიღებული მასალისგან სათამაშოებსა და ბალიშებს ავსებენ. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ზრდასრული ინდოელების თითქმის 30% – დაახლოებით, 267 მილიონი ადამიანი – მწეველია.

ბრაზილიაში სათამაშო იარაღი აკრძალეს

ბრაზილიის ფედერალურ ოლქში, რომელშიც ქვეყნის დედაქალაქი ბრაზილიაც შედის, სათამაშო იარაღის გაყიდვები აკრძალეს. ხელისუფლება ამ მეთოდით იმედოვნებს დანაშაულებათა რიცხვის შემცირებას, რაც ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ხდება. „ძალადობის კულტურა რომ შევცვალოთ, ბავშვობიდან უნდა დავიწყოთ, – აცხადებენ ბრაზილიელი ჩინოვნიკები, – ჩვენი შვილები ნელ-ნელა მიხვდებიან, რომ იარაღი სათამაშო არ არის, თუკი ამას ხშირად გავუმეორებთ ხოლმე“.

ფედერალურ ოლქში მდებარე მაღაზიების მფლობელები ვალდებულები არიან, ოთხი თვის განმავლობაში, სათამაშო იარაღის მარაგები თავიდან მოიშორონ. სამაგიეროდ, მთავრობა ამისთვის მათ მატერიალურად წაახალისებს. ამ აქციის ფარგლებში, ქალაქ სეილანდიაში, სადაც დანაშაული განსაკუთრებით ხშირად ხდება, ადგილობრივ პატარებს შესთავაზეს, საკუთარი ნებით ჩააბარონ „ცუდი“ სათამაშოები, სანაცვლოდ კი წიგნები მიიღონ.

სტრესის მოსახსნელად ლოკოკინა მიიყვანა

დიდ ბრიტანეთში, უესტ-მიდლენდსის საგრაფოში, პოლიციის თანამშრომელს ნება დართეს, სამსახურში უშველებელი ლოკოკინა მიეყვანა. მოლუსკისთვის საარსებოდ კომფორტული პირობები იყო შექმნილი – საცხოვრებლად ფართო ყუთი ჰქონდა. პოლიციელმა ლოკოკინა სამუშაო ადფილზე ნერვების დასამშვიდებლად მიიყვანა. თუმცა, კოლექტივში არაერთგვაროვანი რეაქცია გაჩნდა – ნაწილმა უფროსთან უკმაყოფილება გამოთქვა, თუმცა მათი თხოვნა არ დაკმაყოფილდა და ლოკოკინა დატოვეს. ხელმძღვანელობა ფიქრობდა, რომ მოლუსკი თანამშრომლების ფსიქოლოგიურ მდგომარეობას გააუმჯობესებდა. ამის მიუხედავად, ლოკოკინა მოკვდა, მისმა მიმყვანმა პოლიციელმა კი სამსახური დატოვა.

პოლიციამ მთვრალი ზღარბები გადაარჩინა

გერმანიის ქალაქ ერფურტში, სამართალდამცავებმა ორი ზღარბი ნაბახუსევისგან იხსნა. ადგილობრივი მედიის ცნობით, პოლიციამ უმოძრაოდ მყოფი ცხოველები საბავშვო მოედანზე აღმოაჩინა. ისინი მკვდრები ეგონათ, თუმცა პოლიციელები მალევე მიხვდნენ, რა სჭირდათ საწყალ ზღარბებს – მათთან ახლოს, ლიქიორის გატეხილი ბოთლი ეგდო. ჩანს ეკლიანებმა დაღვრილი სასმელი დალიეს და სიმთრვალის შედეგებს ებრძოდნენ. სამართალდამცავებმა მთვრალი ზღარბები ადგილობრივ ზოოპარკში გადაიყვანეს, სადაც ისინი სპეციალისტებმა „გამოაფხიზლეს“.

მძღოლის სიმთვრალეს სავარძელი გამოავლენს

იაპონელმა სპეციალისტებმა შექმნეს „ჭკვიანი“ საავტომობილო სავარძელი, რომელიც განსაზღვრავს, მთვრალია თუ არა მძღოლი. სავარძელი აღჭურვილია გადამცემებით, რომლებიც გამუდმებით აგროვებენ ინფორმაციას მის გულისცემის სიხშირეზე, სუნთქვაზე, ასევე, თვალ-ყურს ადევნებენ მის მდგომარეობას და აფრთხილებენ, თუკი მძღოლი რომელიმე მხარეს გადაიხრება. სწავლულების თქმით, ეს ტექნოლოგია შეიძლება გამოყენებულ იქნეს მომავალი თაობის ავტომობილებში. ასეთი სატრანსპორტო საშუალებები შეძლებენ მძღოლის მდგომარეობის გაუარესების განსაზღვრას და გამოიძახებენ სასწრაფო დახმარებას ან დაბლოკავენ მანქანის მოძრაობას, თუ ალკოჰოლურ სიმთვრალეს აღმოაჩენენ. თანამედროვე ავტომობილებში მსგავსი სისტემები მხოლოდ კამერების მონაცემებს ეყრდნობა.

მიტოვებული პატარძალი საკუთარ თავს მისთხოვდა

საქმროს მიერ მიტოვებულმა ფრანგმა ქალბატონმა ქორწილი მაინც გადაიხადა და ის საკუთარ თავს მისთხოვდა. ლეტისია ნგუენი, ქალაქ რეიმსიდან, სამი წლის განმავლობაში ხვდებოდა მამაკაცს. 38 წლის ქალი და მისი პარტნიორი ქორწილის შემდეგ ბავშვების გაჩენასაც აპირებდნენ და სადღესასწაულო ცერემონიისთვის აქტიურად ემზადებოდნენ. თუმცა, რაღაც მომენტში, მამაკაცი ნელ-ნელა ჩამოშორდა შეყვარებულს. ქორწილამდე სამი კვირით ადრე კი საერთოდაც დაშორდა მას. იმედგაცრუებული ლეტისია დეპრესიაში რომ არ ჩავარდნილიყო, გადაწყვიტა, ქორწილი მაინც გადაეხადა, თუნდაც სასიძოს გარეშე. მან ამ ცერემონიისთვის, რომელიც ბერძნულ კუნძულ სანტორინიზე ჩატარდა, 18 ათასი გირვანქა სტერლინგი დახარჯა. ქორწილში მხოლოდ 8 სტუმარი – ყველაზე ახლობელი ადამიანები იყვნენ.

ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ პატარძალი ამ უცნაური ქორწილით კმაყოფილია: „რაღაც უნდა გამეკეთებინა, საკუთარი თავის რწმენა რომ დამებრუნებინა. ახლა, თითქოს, ხელახლა დავიბადე“, – განაცხადა ლეტისიამ ცერემონიის შემდეგ.

ახალი წამალი კიბოს წინააღმდეგ

ამერიკელმა ონკოლოგებმა შეძლეს ისეთი ნაერთის მიღება, რომელიც ბლოკავს სიმსივნური უჯრედების გადაადგილებას ორგანიზმში. შწავლულებმა, ორეგონის უნივერსიტეტიდან, შექმნეს წამალი, რომელიც საწყის სტადიაზე კიბოს ოთხი სახეობის გავრცელებას ბლოკავს. ახალი პრეპარატი KBU-2046 ეფექტურად მოქმედებს სარძევე და წინამდებარე ჯირკვლის, ასევე, ფილტვისა და სწორი ნაწლავის კიბოს დროს. ის უკვე გამოსცადეს მღრღნელებზე – წამალმა შეაჩერა მეტასტაზები და შეამცირა ძვლის დაშლა. ცდების შემდეგი ეტაპი კლინიკურია და თუ ისიც წარმატებით ჩაივლის, ავტორები იმედოვნებენ, რომ სულ მალე, ახალი პრეპარატით ადამიანების სიცოცხლეს გადაარჩენენ.

პარალიზებულებს გენური თერაპიით უშველიან

მეცნიერები სხვადასხვა ქვეყნიდან ახალ მეთოდიკაზე მუშაობენ, რომელმაც ზურგის ტვინის დაზიანების მქონე პაციენტებს უნდა უშველოს. ისინი ცდილობენ, ასეთ ადამიანებს ნაწილობრივ მაინც დაუბრუნონ მოძრაობის შესაძლებლობა. ამ მიზნისთვის, ლონდონის სამეფო კოლეჯის მკვლევარებმა გენური თერაპიის გამოყენება სცადეს. მათ წარმატებით გამოსცადეს ეს მეთოდი პარალიზებულ მღრღნელებზე – თაგვებს წინა კიდურების მოძრაობა აღუდგათ. სწავლულების თქმით, თერაპია ორი თვის განმავლობაში გრძელდებოდა, რის შემდეგაც, მღრღნელებმა წინა კიდურების ამოძრავება შეძლეს. ჯერჯერობით, მკვლევარებს კლინიკური ცდები არ ჩაუტარებიათ, თუმცა იმედოვნებენ, რომ მათი მეთოდიკა დაეხმარება პაციენტებს, რომელთაც მოძრაობის უნარი ზურგის ტვინის დაზიანების შედეგად დაკარგეს. ამ უნარის ნაწილობრივ აღდგენაც კი არსებითად გააუმჯობესებს პაციენტების ცხოვრებას.

სტუდენტი საფრთხობელად მუშაობს

22 წლის ბრიტანელმა სტუდენტმა ფულის შოვნის ორიგინალური ხერხი მოიფიქრა – ის საფრთხობელად მუშაობს. ჯეიმი ფოქსი მთელ დღეს სუფთა ჰაერზე ზის, წიგნს კითხულობს, ან გიტარაზე დაკვრით ერთობა. თუმცა, როგორც კი ახლო-მახლო ფრინველები გამოჩნდებიან, მაშინვე წამოხტება და მათ აფრთხობს. ჩიტების დასაფრთხობად, ფოქსს ნარინჯისფერი კოსტიუმი აცვია, ხმამაღლა ყვირის და აკორდეონზე დაკვრას იწყებს. ამ შრომისთვის სტუდენტს კვირაში 400 დოლარს უხდიან. მოგროვილი ფულით ჯეიმი ახალ ზელანდიაში სამოგზაუროდ წასვლას გეგმავს. ფოქსი აცხადებს, რომ მოსწონს მთელი დღე სუფთა ჰაერზე, მინდორში ყოფნა.

„აქ უამრავი დრო მაქვს, რომ მომავალზე ვიფიქრო“, – ამბობს ჯეიმი. მისი მუშაობით დამქირავებელი ფერმერიც კმაყოფილია, რომელიც აცხადებს, რომ სტუდენტი სამუშაოს თავს შესანიშნავად ართმევს. მისივე თქმით, სტუდენტის თავდაუზოგავი შრომის შედეგად, დანაკარგიც კი თვალსაჩინოდ შემცირდა.

დაღლილობას ვირუსი იწვევს?

ადამიანის ხშირი დაღლილობა, შესაძლოა, ვირუსით იყოს გამოწვეული, – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ აშშ-ის უაიტ-პეტერსონის ინსტიტუტის სპეციალისტები. მათი კვლევებით დადგინდა, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც ქრონიკული დაღლილობით იტანჯებიან, სისხლში ვირუსი აღმოაჩნდათ, რომელიც XNRY-ის სახელითაა ცნობილი. ეს ვირუსი ცხოველური წარმოშობისაა და უნარი აქვს, იცხოვროს ადამიანის ორგანიზმშიც. როგორც აღმოჩნდა, ვირუსი იმ პაციენტთა 67%-ში არსებობს, რომლებიც მუდმივ ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ დაღლილობას უჩივიან. დადგინდა ისიც, რომ ის საგრძნობლად ასუსტებს ადამიანის იმუნურ სისტემას. ამერიკელი სწავლულების ამ აღმოჩენის შედეგად, სპეციალისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ქრონიკული დაღლილობა, შეიძლება, ადამიანს ავადმყოფობად ჩაეთვალოს და მას შესაბამისი მკურნალობაც დაენიშნოს. აღსანიშნავია, რომ დღეისთვის, ქრონიკული დაღლილობის სინდრომით, მსოფლიოს მასშტაბით, 17 მილიონი ადამიანი იტანჯება.

მედუზასგან ჩიფსები შექმნეს

ადამიანები ფიქრობენ, რომ მედუზებს არავითარი საკვები ღირებულება არ გააჩნიათ ორგანიზმისთვის. თუმცა, სამხრეთ დანიის უნივერსიტეტის სწავლულებმა შეიმუშავეს მეთოდი, რომელიც მოლუსკების ამ სახეობას კარტოფილის ჩიფსების მსგავს საკვებად აქცევს. სპეციალისტების თქმით, მედუზასგან დამზადებული ჩიფსები, შესაძლოა, ტრადიციული წასახემსებლის ჯანსაღ ალტერნატივად იქცეს, რადგან მათში პრაქტიკულად არ არის ცხიმი, სამაგიეროდ, სელენის მაგნიუმის, ფოსფორის, რკინისა და ბე-12-ვიტამინის შემცველობა საკმაოდ მაღალია. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ფილიპინებსა და სამხრეთ კორეაში, მედუზების საკვებად გამოყენება ჩვეულებრივი ამბავია.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.